

## დავით ჩიქოვანი

სოსხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტი

# ანტიოქიის პატრიარქ იოანე II-ის (631-648) წერილი მარუთა ტაგრიტელს და მისი მნიშვნელობა ქართლის ეკლესიის ისტორიისთვის

## აბსტრაქტი

იოანე II ანტიოქიის პატრიარქი და სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური იყო 631-648 წლებში. იგი სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე და ამავე ეკლესიის წმინდანია. საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია იოანე ანტიოქიელის წერილი ტაგრიტის მიტროპოლიტისა და აღმოსავლეთის სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის, მარუთასადმი (628/629-649), რადგანაც ეს წერილი უძველესია იმ წყაროთა შორის, რომლებიც ქართლის ეკლესიის ანტიოქიის კათედრაზე დაქვემდებარების შესახებ იუწყებიან.

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს წერილი დიდი ხანია ცნობილია და გამოიყენება ქართლის ეკლესიის თავდაპირველი უფლებრივი მდგომარეობისა თუ მისი ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში. სამწუხაროდ, ამ დრომდე წერილი საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხებისთვის საგანგებოდ და დეტალურად არავის უკვლევია.

წინამდებარე სტატიაში ვეცადე შემევსო სამეცნიერო სფეროში ამ კუთხით არსებული სიცარიელე. სტატიაში გამოკვლეულია წერილის დაწერის დრო და ვითარება, მისი მიზანი და სანდოობა. სტატიაში ქართულ რეალობაში პირველად ქვეყნდება ანტიოქიის პატრიარქ იოანე II-ისა და მარუთა ტაგრიტელის მიმორწერის სრული ქართული თარგმანი შესაბამისი კომენტარებით.

**საკვანძო სიტყვები:** *იოანე ანტიოქიელი, მიქაელ სირიელი, ქართლის ეკლესია, ავტოკეფალია*

იოანე II ანტიოქიის პატრიარქი და სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის<sup>1</sup> მეთაური იყო 631-648 წლებში. იგი სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის ერთ-ერთი გამორჩეული მოღვაწე და ამავე ეკლესიის წმინდანია,<sup>2</sup> მისი დავალებით სირიულიდან არაბულად ითარგმნა სახარებები, რომლებმაც

<sup>1</sup> ცნობილი, როგორც იაკობიტური ეკლესია.

<sup>2</sup> მის ხსენებას სირიული მართლმადიდებლური ეკლესია ადასრულებს 14 დეკემბერს, მისი გარდაცვალების დღეს (Ignatius Aphram I Barsoum. The Scattered Pearls A History Of Syriac Literature And Sciences, Trans. Matti Moosa (Gorgias Press, 2003), 322.

ჩვენამდე ვერ მოაღწია. მასვე ეკუთვნის სავედრებელი ლოცვები, რომელიც მან ღვთისმსახურებაში ჩართო.<sup>3</sup>

საქართველოს ეკლესიის ისტორიისთვის განსაკუთრებით საინტერესო და მნიშვნელოვანია იოანე ანტიოქიელის წერილი ტაგრიტის მიტროპოლიტისა და აღმოსავლეთის სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაურის, მარუთასადმი (628/629-649), რადგანაც მასში ქართლის ეკლესიის შესახებაც არის საუბარი და როგორც თამილა მგალობლიშვილი აღნიშნავდა, „ეს წერილი უძველესია იმ წყაროთა შორის, რომლებიც ქართლის ეკლესიის ანტიოქიის კათედრაზე დაქვემდებარების შესახებ იუწყებიან“.<sup>4</sup>

ქართულ ისტორიოგრაფიაში ეს წერილი დიდი ხანია ცნობილია<sup>5</sup> და გამოიყენება ქართლის ეკლესიის თავდაპირველი უფლებრივი მდგომარეობისა თუ მისი ავტოკეფალიის საკითხებთან დაკავშირებულ კვლევებში. სამწუხაროდ, ამ დრომდე წერილი საქართველოს ეკლესიის ისტორიასთან დაკავშირებული საკითხებისთვის საგანგებოდ და დეტალურად არავის უკვლევია, ვფიქრობ, სათანადოდ არ არის გამოკვლეული წერილის სანდოობის საკითხი, მისი დაწერის დრო და ვითარება, რისი გათვალისწინების გარეშეც, ჩემი აზრით, წყაროს გამოყენება მხოლოდ მისი მექანიკური დამოწმებაა. წინამდებარე სტატიაში ვეცადე შემევესო სამეცნიერო სფეროში ამ კუთხით არსებული სიცარიელე.

პირველი, რაც უნდა აღვნიშნოთ, არის ის, რომ პატრიარქ იოანეს წერილს დამოუკიდებელი სახით არ მოუღწევია, იგი თავის ქრონიკაში დაცული აქვს ანტიოქიის იაკობიტ პატრიარქ მიქაელ სირიელს (1166-1199). რაც ხშირად არ არის ხოლომე გათვალისწინებული, მაგალითისთვის, მიხეილ თარხნიშვილი ქართლის ეკლესიის ანტიოქიის პატრიარქზე დაქვემდებარების შესახებ არსებულ მიქაელ სირიელის სხვა ცნობების თაობაზე წერდა, რომ „ასე გვიანდელ ცნობებს უდავო ჭეშმარიტების პრეტენზია ვერ ექნება“, ხოლო ამავე ავტორთან დაცულ იოანე ანტიოქიელის წერილს გაცილებით უფრო სარწმუნოდ მიიჩნევდა.<sup>6</sup>

მიქაელ სირიელი (დაახლ. 1126-1199) სირიული ორთოდოქსული ეკლესიის პატრიარქი იყო 1166-1199 წლებში. მას ეკუთვნის ქრონიკა, რომელიც უდიდესია სირიულ ენაზე დაწერილ ქრონიკებს შორის და სამყაროს შექმნიდან 1195 წლამდე პერიოდს მოიცავს.<sup>7</sup>

<sup>3</sup> Ignatius Aphram I Barsoum. *The Scattered Pearls*, 321-322.

<sup>4</sup> თამილა მგალობლიშვილი, „ქრისტიანული ქართლი IV-V სს-ში,“ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია, N1 (1988, N1): 104.

<sup>5</sup> როგორც ჩვენთვის არის ცნობილი, პირველად იგი მიხეილ თამარაშვილმა გამოიყენა (იხ. ქვემოთ).

<sup>6</sup> Michael Tarchnishvili, „The Origin and Development of the Ecclesiastical Autocephaly of Georgia,“ in *Languages and Cultures of Eastern Christianity: Georgian. The Worlds of Eastern Christianity*, 300-1500 vol.5. Edited by Stephen H. Rapp, Jr and Paul Crego (Routledge, 2012), 194; მიქელ თარხნიშვილი, „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოქმნა და განვითარება“, წიგნი: ქართული ეკლესიის ისტორია: მასალები და გამოკვლევები. მიქელ თარხნიშვილი, წერილები. რედაქტორი: ლილი ხევსურიანი (თბილისი: კანდელი, 1994), 134.

<sup>7</sup> Dorothea Weltecke, „The World Chronicle by Patriarch Michael the Great (1126-1199): Some reflections,“ *Journal of Assyrian Academic Studies*, Vol. XI, No. 2 (1997): 6.

მიქაელს ქრონიკის წერა უნდა დაეწყო 1166 წელს და დაესრულებინა 1196 წელს, გარდაცვალებამდე სამი წლით ადრე.<sup>8</sup>

დიდი ხნის განმავლობაში მიქაელ სირიელის ქრონიკა უცნობი იყო. მიქაელი ცნობილი იყო, როგორც ლიტურგიკული და ჰაგიოგრაფიული ტექსტების ავტორი. ქრონიკის ტექსტი ცნობილი გახდა მხოლოდ XIX საუკუნეში მისი სომხური თარგმანის მეშვეობით, როდესაც მათი ნაწილი ფრანგულად თარგმნა და გამოსცა ფრანგმა ორიენტალისტმა ედუარ დიულორიემ (Édouard Dulaurier - 1807-1881).<sup>9</sup>

1868 წელს მიქაელის ქრონიკის ერთ-ერთი სომხური ვერსიის სრული ტექსტის ფრანგული თარგმანი გამოსცა ფრანგმა ისტორიკოსმა ვიქტორ ლანგლუამ (Victor Langlois – 1829-1869).<sup>10</sup> ლანგლუამ ასევე დაიწყო ქრონიკის ისტორიული წყაროებისა და ტექსტის ღირებულების ფილოლოგიური კვლევა.<sup>11</sup>

1870 და 1871 წლებში გამოიცა მიხეილ სირიელის ქრონიკის ორი სომხური თარგმანი.<sup>12</sup>

1889 წელს იტალიელმა ორიენტალისტმა იგნაციო გუიდიმ ( Ignazio Guidi – 1844-1935) საზოგადოებას ამცნო ედესის ეპისკოპოსის, ეფრემ რაბულა რიჰმანის მიერ მიქაელ სირიელის ქრონიკის სირიული ტექსტის აღმოჩენის შესახებ. მანვე აღნიშნა, რომ სომხური თარგმანი ორიგინალი ტექსტის მხოლოდ მეოთხედს ან მეხუთედს შეადგენდა და ხშირად იმდენად არაზუსტი და მცდარი იყო, რომ სერიოზულ შეცდომებს იწვევდა.<sup>13</sup>

მიქაელ სირიელის ქრონიკის ორიგინალი ტექსტის შესწავლისა და გამოქვეყნების საქმე ჩაიბარა ჟან-ბატისტ შაბომ (Jean-Baptiste Chabot – 1860-1948), რომელმაც 1899-1910 წლებში 4 ტომად გამოსცა მიქაელ სირიელის ქრონიკის ფრანგული თარგმანი (1-3 ტომი)<sup>14</sup> და ორიგინალი სირიული ტექსტი (IV ტომი).<sup>15</sup>

შაბოს მიერ მიქაელ სირიელის ქრონიკის გამოქვეყნებისას გამოჩნდა ქრონიკის არაბული თარგმანებიც, რომლებიც, მართალია, იმ პერიოდში არ გამოქვეყნებულა, მაგრამ ისინი შაბომ გამოიყენა თავის გამოცემებში.<sup>16</sup>

ედესიდან ხელნაწერი ალექსოში მოხვდა - იგი 1924 წელს თურქეთის მთავრობის მიერ გადასახლებულმა სირიელმა მრევლმა ალექსოში მიიტანა და წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიაში განათავსა. ალექსოს მიტროპოლიტმა მარ

---

<sup>8</sup> Matti Moosa, trans., *The Syriac Chronicle of Michael Rabo (The Great) : A Universal History from the Creation*, (Teaneck, NJ: Beth Antioch Press, 2014), 18.

<sup>9</sup> Weltecke, „The World Chronicle,“ 8.

<sup>10</sup> Victor Langlois, trans., *Chronique de Michel le Grand, patriarche des syriens jacobite*, (Venice: Typographie de l'Académie de Saint-Lazare, 1868).

<sup>11</sup> Weltecke, „The World Chronicle,“ 8.

<sup>12</sup> Weltecke, „The World Chronicle,“ 8.

<sup>13</sup> Ignace Guidi, „La cronica siriana di Michele I,“ *Giornale della Società Asiatica Italiana* 3 (1889): 167.

<sup>14</sup> Jean-Baptiste Chabot, trans., *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche* (1166-1199). Tome I (Paris: Ernest Leroux, 1899); Jean-Baptiste Chabot, trans., *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche* (1166-1199). Tome II (Paris: Ernest Leroux, 1901); Jean Baptiste Chabot, trans., *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche* (1166-1199). Tome III (Paris: Ernest Leroux, 1905).

<sup>15</sup> Jean Baptiste Chabot, edit., *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche* (1166-1199). Tome IV (Texte Syriaque) (Paris: Ernest Leroux, 1910).

<sup>16</sup> Weltecke, „The World Chronicle,“ 10.

გრიგორიუსმა მისი გამოქვეყნება გადაწყვიტა და იგი 2009 წელს Gorgias Press-მა გამოსცა.<sup>17</sup>

*მიქაელ დიდის ქრონიკის ედესა-ალექსის სირიული კოდექსი (The Edessa-Aleppo Syriac Codex of the Chronicle of Michael the Great)* ორიგინალის ერთადერთი შემორჩენილი ასლია და იგი თარიღდება 1598 წლით. იგი მონაზონ მიქაელს გადაუწერია მიტროპოლიტ მოსეს (გარდ. 1587) მიერ შესრულებული ხელნაწერიდან, რომელიც უშუალოდ მიქაელ სირიელის მიერ შესრულებული ხელნაწერიდან ყოფილა გადაწერილი.<sup>18</sup>

რაც შეეხება ქრონიკის სომხურ თარგმანებს, ჩვენამდე მოღწეული უძველესი სომხური თარგმანი 1246/48 წელს დაუსრულებიათ. ამჟამად სომხური თარგმანის დაახლოებით 40 ხელნაწერია შემორჩენილი, რომელთაგან უძველესი XIII საუკუნის ბოლო ათწლეულებით თარიღდება.<sup>19</sup>

პატრიარქ იოანეს წერილი მარუთა ტაგრიტელის მიმართ დაცულია მხოლოდ სირიულ ხელნაწერში. სომხურ თარგმანებში არც ეს წერილი და არც მასზე მარუთა ტაგრიტელის პასუხი არ მოიპოვება. ქვემოთ სრულად წარმოვადგენ იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელი მიმოწერის ქართული თარგმანს:

### **პატრიარქ იოანეს წერილი მარუთას:**

„(212r) [423]<sup>20</sup> ჩვენს პატივცემულ და წმინდა ძმასა და თანამსახურს, უფალ მარუთას, სპარსეთის ქვეყნის<sup>21</sup> ეპისკოპოსსა და მიტროპოლიტს, მდაბალი იოანე, ანტიოქიის სამოციქულო საყდრის მცველი, სირიის ეკლესიის მსახური, პატრიარქობის პატივით შემკული. შევთხოვ ყოველთა უფალსა და ღმერთს, იესო ქრისტეს თქვენს მშვიდობას და [ღვთის წინაშე] თქვენს ლოცვებს.

ჩემო უფალო, როგორც იცი, როდესაც სპარსელთა მეფესთან ჩავედი, თქვენთან კავშირი დავამყარე, რადგანაც ბარსუმა ნიზიბინელის<sup>22</sup> დევნის დროიდან ჩემი წინამორბედის, პატრიარქ უფალ ათანასეს,<sup>23</sup> დრომდე სამწყსოსგან გამოყოფილი ცხვრებივით იყავით. რადგანაც, უწინ, სპარსელთა კათოლიკოსის საყდარი და

<sup>17</sup> Gregorios Yuhanna Ibrahim. edit., *The Edessa-Aleppo Syriac Codex of the Chronicle of Michael the Great. (Texts and Translations of the Chronicle of Michael the Great Volume 1).* (Piscataway: Gorgias Press, 2009).

<sup>18</sup> Moosa, *Chronicle*, 18-20.

<sup>19</sup> Tigran Sawalaneants. edit., *The Armenian Epitome of the Chronicle of Michael the Great. VERSION I. (Texts and Translations of the Chronicle of Michael the Great, Volume 8 )* (Piscataway: Gorgias Press. 2011) , VII-X.

<sup>20</sup> მრგვალ ფრჩხილებში ვუთითებ ხელნაწერის გვერდებს, ხოლო კვადრატულ ფრჩხილებში - გვერდებს შაბოს მიერ გამოცემული სირიული ტექსტიდან.

<sup>21</sup> სირიულ ორიგინალშია „ბეთ პერსაის ეპისკოპოსსა და მიტროპოლიტს“ Gregorios Yuhanna Ibrahim. *The Edessa-Aleppo Syriac Codex*, 212r.

<sup>22</sup> ნიზიბინის ეპისკოპოსი დაახლ. 460-491 წლებში.

<sup>23</sup> ანტიოქიის პატრიარქი და სირიული მართლმადიდებლური ეკლესიის მეთაური 594/595 ან 603 წლიდან 631 წლამდე.

არმენიის,<sup>24</sup> გურზანისა<sup>25</sup> და არანის<sup>26</sup> კათოლიკოსების [საყდრები] ანტიოქიის საყდარს ექვემდებარებოდა კათოლიკოს ბაბაის<sup>27</sup> მკვლევლობამდე. მას შემდეგ, თქვენი მამები საკუთარი ნებისამებრ იქცეოდნენ იქამდე, სანამ მე არ ჩამოვედი და თქვენს მიტროპოლიტს, ქრისტეფორეს<sup>28</sup> და მარ მათეს [მონასტრის]<sup>29</sup> არქიმანდრიტს, ადაისტან, არ შევხვდი. თქვენ შემოგვიერთდით მას შემდეგ, რაც ზემოთხსენებული მიტროპოლიტი<sup>30</sup> მოვიდა ჩვენთან, თქვენ აკურთხეთ მიტროპოლიტის მიერ არჩეული ეპისკოპოსები. [იმ დროს] თქვენთან ერთად იყვნენ უფალ ათანასეს ეპისკოპოსები.

ჩვენ გთხოვთ ბარსუმას დევნის შესახებ ინფორმაცია, მაგრამ რადგანაც [ამ ეპისკოპოსებმა] ზუსტად არ (212v) [424] იცოდნენ მომხდარი, უგულვებლჰყვეს ამის ქმნა ხსენებული ნეტარის სიცოცხლეში<sup>31</sup>. ახლა, როდესაც მე მის მემკვიდრედ ვარ მოწოდებული, თუმცა ამის ღირსი არ ვარ, გთხოვთ, გაგვაცნოთ ეს ამბავი, რადგანაც ვიცით, რომ ამ ამბებმა თქვენამდე მოაღწია. შევთხოვ უფალს, რომ თქვენ არ უარყოთ ჩემი თხოვნა, რათა როდესაც ამ ჩანაწერს ჩვენს წიგნსაცავში განვათავსებთ, თქვენი მოსახსენებელიც იქ აღინუსხოს. ბრძანეთ და ილოცეთ ჩემთვის, რათა ჩვენმა უფალმა მომანიჭოს შეძლება, მისი სურვილის შესაბამისად ვმართო და განვაგო მისი სამწყსო, რომელიც მისი ძღვევამოსილი ჯვრით არის გამოსყიდული. და რათა ჩემი წოდება და [პატრიარქად] არჩევა არ გადაიქცეს ჩემს სასჯელად.

ჩვენი ძმები, სირიის ეპისკოპოსები, ითხოვენ თქვენს მშვიდობას და [საპასუხოდ] თქვენს წმიდა ლოცვებს.“

### **მარუთას პასუხი იოანეს**

„უმეტესად კურთხეულ მამათა მამას, პონტიფიკოსთა მთავარს, წმინდა ეკლესიის მშვენებასა და დიდებას, პატრიარქ უფალ იოანეს, უცხო<sup>32</sup> მარუთა, ღვთის წყალობით უფალ მათეს მონასტრისა და აღმოსავლეთის მხარის მიტროპოლიტი. გიგზავნით ღვთაებრივ მოკითხვას და გთხოვთ თქვენს [საპასუხოდ] წმიდა ლოცვებს.

მივიღეთ თქვენი უწმიდესობის წერილი და ჩვენთვის, ჩვენი ყველა ძმისა და ჩვენი სამწყსოსთვის დიდი სიხარული და სიამოვნება იყო, რომ წმიდა ანასასეს გარდაცვალების შემდეგ ღმერთმა თავისი

<sup>24</sup> სომხეთი.

<sup>25</sup> ქართლის სირიული სახელწოდება.

<sup>26</sup> ალბანეთი. ინგლისურ თარგმანში შეცდომით მოცემულია დარა Moosa, Chronicle, 465.

<sup>27</sup> იგულისხმება აღმოსავლეთის ეკლესიის კათოლიკოსი ბაბოვანი (457-484), რომელიც 484 წელს შაჰმა პეროზმა (459-484) სიკვდილით დასაჯა.

<sup>28</sup> მარ მათეს მონასტრის მიტროპოლიტი.

<sup>29</sup> მარ მათეს მონასტერი - მონასტერი ჩრდილოეთ ერაყში, რომელიც 363 წელს დააარსა მეუღლებო მათემ, რომელიც ქალაქ ამიდადან გაექცა იულიანე განდგომილის დევნას.

<sup>30</sup> იგულისხმება მარ მათეს მონასტრის მიტროპოლიტი ქრისტეფორე.

<sup>31</sup> იგულისხმება ანტიოქიის პატრიარქი ათანასე.

<sup>32</sup> თავმდაბლობის ფორმულა

ეკლესიის მეთაურად დაადგინა თქვენი უნეტარესობა, ვისი არჩევაც არ მომხდარა ადამიანური ნებით, არამედ სულიწმიდის მიერ, რომელმაც აირჩია დიდებული პეტრე. ჩვენ ვლოცულობთ, რათა მიიღოთ მოციქულის ნიჭი, როგორც მისი საყდარი დაიმკვიდრეთ.

რადგანაც ბარსუმას ღვეზის ამბავი გვკითხეთ, იცოდეთ, მთავართა უმთავრესო! რომ მონასტერში არსებული ყველა ადრინდელი ისტორია მონასტერთან ერთად დაწვა უწმინდურმა ბარსუმამ. ეს ამბავი არსად გვხვდება, რადგანაც განსწავლული ადამიანები და მწერლები მოწამეობრივად იქმნენ გვირგვინოსანნი იმ დროს. მაგრამ, რათა თქვენი უნეტარესობის სურვილი არ გავაქარწყლოთ, სწრაფად დაწერეთ იმას, რაც სიტყვიერად გავიგეთ სარწმუნო უხუცესებისგან. რომელთაც ეს საკუთარი მამებისგან გადაეცათ. დავიწყებ ნესტორით და თანმიმდევრულად გავაგრძელებ.

მას შემდეგ, რაც ეფესოს კრებამ ნესტორი<sup>33</sup> ანათემას გადასცა და პატმოსზე გადაასახლა,<sup>34</sup> რაბულამ<sup>35</sup> შემოიტანა თეოდორესა<sup>36</sup> და მისი მასწავლებლის, დიოდორეს,<sup>37</sup> საძაგელი კომენტარები. როდესაც ისინი წაიკითხეს, ღვთის მთელმა ეკლესიამ ანათემას გადასცა ისინი და იმპერატორმა თეოდოსიმ<sup>38</sup> ბრძანა, რომ დაეწვათ მათი ყველა ნაწერი, ყველგან, სადაც კი მათ იპოვიდნენ და ყველა მათი მათი მიმდევარი სიკვდილით დაესაჯათ. როდესაც რაბულა ედესაში დაბრუნდა, აღმოსავლელთა სკოლაში<sup>39</sup> იპოვა თეოდორეს წიგნები და ქალაქის შუაგულში დაწვა. ამ ერესის მიმდევრები გაიქცნენ ნიზიბინში, რომელიც ამ დროს სპარსელთა საზღვარზე იყო. იქ იყო ეპისკოპოსი, სახელად ბარსუმა. ეს საძაგელი მოძღვრება მასში იყო დაფარული, მაგრამ ის ამას არ ამჟღავნებდა, რადგანაც იგი სპარსეთის კათოლიკოს ბაბაის<sup>40</sup> ექვემდებარებოდა, ხოლო კათოლიკოსი ანტიოქიის საყდარს იყო დაქვემდებარებული. როდესაც კათოლიკოსი კრებაზე მოიხმეს, მან ვერ

<sup>33</sup> კონსტანტინოპოლის ეპისკოპოსი 428-431 წლებში, ნესტორიანული მწვალებლობის ერესიარქი.

<sup>34</sup> ნესტორი გადაასახლეს ეგვიპტეში მდებარე რაზისში.

<sup>35</sup> ედესის ეპისკოპოსი 411/2-435/6 წლებში. ნესტორისა და თეოდორე მოფსუესტელის მოწინააღმდეგე.

<sup>36</sup> თეოდორე მოფსუესტელი, მოფსუესტიის ეპისკოპოსი 392-428 წლებში. იგი აღიარებდა ერთ ქრისტეს, მაგრამ ორ უკიდურესად ცალკე მდგომ ადამიანურ და ღვთაებრივ ბუნებებს. თეოდორეს აზრით, წმ. მარიამი იყო არა ღმერთის ღედა, არამედ ქრისტეს ადამიანური ბუნების და სხეულის მშობელი, რის გამოც იგი მას „ქრისტოთოკოსს“ ანუ ქრისტეს-მშობელს უწოდებდა და არა „თეოტოკოსს“- ღვთისმშობელს. მისი იდეები მის შემდეგ მისმა მოწაფემ, ნესტორმა უფრო აქტიურად განავითარა.

<sup>37</sup> კილიკიის ტარსუსის ეპისკოპოსი 378-390 წლებში. იგი მიიჩნეოდა ნესტორიანიზმის ფაქტობრივ მშობლად და იწოდებოდა „ნესტორამდე ნესტორიანელად“.

<sup>38</sup> იმპერატორი თეოდოსი - აღმოსავლეთ რომის იმპერატორი თეოდოსი მცირე (408-450), რომელმაც მოიწვია ეფესოს მსოფლიო საეკლესიო კრება (431 წ.)

<sup>39</sup> იგულისხმება ედესაში არსებული ე.წ. „სპარსელთა სკოლა“,

<sup>40</sup> ბაბოვაი.

შედლო წასვლა სპარსეთის მეფის გამო, რომელიც რომაელთა წინააღმდეგ ომში იყო ჩართული<sup>41</sup>.

ჩვენს გონებას ძრწოლა იპყრობს, როდესაც ვფიქრობთ ბარსუმა ნიზიბინელის (213r) [425] უსამართლობის წარღვნის, წმინდანთა მღევნელის, ჭუმარიტების მკვლელის, დემონის მახვილის, მიერ წამოწყებულ დევნაზე. კათოლიკოსმა ბაბაიმ კრებისთვის გასაგზავნად დაწერა თავისი და მასთან მყოფი ეპისკოპოსების შეერთების [წერილი], რომელიც ასეთი შინაარსის იყო:

„წმინდა და მსოფლიო კრებას, სულიწმიდის ნებით ეფესოში შეკრებილთ. ბაბაი, კათოლიკოსი აღმოსავლეთისა და მასთან მყოფი ეპისკოპოსები: გთხოვთ თქვენს ღვთაებრივ მშვიდობასა და ლოცვებს. თქვენ მოგვწერეთ, რათა შეგხვედროდით ნესტორის მიერ აღმოცენებული უღმერთობის გამო. როგორც იცით, ჩვენ ჩვენი სარწმუნოებისთვის უცხო მმართველობის ქვეშ ვართ, და რადგანაც ვერ მოვალთ, ამიტომ, გადავწყვიტეთ, გამოგიგზავნოთ ჩვენი თანხმობა, ვშიშობთ, რომ ჩვენი მოსვლით წარმართების მიერ ჩვენს დევნას გამოვიწვევთ, და ჩვენ წინააღმდეგ იმ მახვილს გააშიშვლებენ, რომელმაც ახლო ხანებში ჩვენი მამები შეიწირა. მაგრამ ჩვენ ვუერთდებით და ვეთანხმებით ყველაფერს, რასაც წმინდა კრება გადაწყვეტს. ჩვენ ვგმობთ ყველა უწმიდურ სწავლებას, რომელსაც ემშაკი აღძრავს ეკლესიის წინააღმდეგ და ყველას, ვინც ძეს მამაზე დაბლა აყენებს. ან ვინც ბედავს თქვას, რომ ქრისტე არის ადამიანი, რომელშიც ღმერთი მკვიდრობს; ან ვინც აღიარებს ორ ბუნებას და ორ ჰიპოსტასს ქრისტეში შემდგომად ფიზიკური და ჰიპოსტასური შეერთებისა, რომელიც გამოუთქმელი გზით მოხდა. განსაცვიფრებელი შეერთებით, უცვლელად და შეურევნელად; ან ვინც არ აღიარებს, რომ ძე, რომელიც მამისგან იშვა უწინარეს ყოველთა, არის ის, ვინც უკანასკნელ ჟამს მარიამისგან იშვა; და რომ ის თავისი ღვთაებრიობით მამის თანაარსია და თავისი ადამიანურობით ჩვენი თანაარსი, იგივე და არა სხვა; რომ იგი ჩვენთვის ჯვარს ეცვა ხორციელად, მამინ, როცა ის ყველაფრით ღმერთი იყო, სიღიაღეშიც და დამცირებაშიც; რომ იგი ჩავიდა ჯოჯოხეთში,<sup>42</sup> დაასხვრია სიკვდილის ბორკილები, აღდგა დიდებით და ამაღლდა ზეცად, ყოველგვარი პირის გამრავლების გარეშე,<sup>43</sup> და რომ იგი კვლავ მოვა დიდებით ცოცხალთა და მკვდართა განსასჯელად. ჩვენ შევაჩვენებთ ყველა ერეტიკოსსა და ბოროტების მასწავლებელს და ვიწყნარებთ წმინდა კრებებს - ნიკეის, კონსტანტინოპოლის და მესამეს, თქვენსას. და რადგანაც ეს [წერილი] ამავე რწმენის სულით დაწერეთ, დაე, თქვენმა უწმიდესობამ უბრძანოს მათ, რომ მიიღონ იგი ჩვენგან, ილოცონ ჩვენთვის და ჩვენი ყველა ძმისთვის, რომლებიც უღმერთო მმართველობის ქვეშ არიან და ნუ გაგვიციხავენ ჩვენი თავშეკავების გამო“.

<sup>41</sup> სინამდვილეში, V საუკუნეში სასანიანთა ირანსა და რომის აღმოსავლეთ იმპერიას შორის მხოლოდ ორი საომარი კონფლიქტი იყო - 421-422 და 440 წლებში.

<sup>42</sup> შეოლ.

<sup>43</sup> იგულისხმება წმიდა სამების პირთა რაოდენობის გაზრდა.

ბაბაიმ ეს წერილი ორ მონაზონს გაატანა, რომლებიც ეფესოში უნდა წასულიყვნენ, როდესაც ისინი ნიზიბინში ჩავიდნენ, გაჩერდნენ ტაძარში, ბარსუმამ გამოჰკითხა მათ მოგზაურობის შესახებ, როდესაც ამის შესახებ შეიტყო, ცბიერად უთხრა: „სპარსელთა მეფეს ჩვენს ქალაქში ჯაშუშები ჰყავს, თუ ისინი შეიტყობენ, რომ რომაელთა ქვეყანაში მიდინართ, მოგკლავენ, და ეპისკოპოს ბაბაის სიკვდილის მიზეზიც გახდებით, დამიტოვეთ წერილები და მე გავაგზავნი მათ“ - მონაზვნებმაც დაუჯერეს. როდესაც ისინი ბაბაისთან დაბრუნდნენ და უთხრეს, რაც მოხდა, მან უთხრა მათ: „ჩინებულად მოიქეცით, რომ ჩვენი ძმის, ბარსუმას რჩევას მიჰყევით“.

შემდეგ ბარსუმა ჩავიდა სპარსელთა მეფესთან და გადასცა მას წერილი. როდესაც წერილი წაიკითხეს, ბარსუმამ თქვა: „ბარსუმა რომაელთა მეფის ჯაშუშია, უნდა გაცნობოთ, რომ რომაელთა მიწაზე კაცი, სახელად ნესტორი, ის იმპერატორებსა და რომაელებს კიცხავდა და ამბობდა: კანონი სპარსელების წინააღმდეგ ომს კი არ გიბრძანებთ, არამედ მათ მორჩილებასა და ხარკის გადახდას. როდესაც მათ ნახეს, რომ იგი ამას ასწავლიდა, მისი მოკვლა განიზრახეს და ამ მიზეზით გადაასახლეს.“ როდესაც ეს მეფეს ესმა (213v) [426], თქვა: „ეს ადამიანი ბრძენია და ჩვენი სამეფოს მეგობარი.“ ბარსუმამ მიუგო მეფეს: „თუ შენს სამეფოში მცხოვრებ ქრისტიანებს მე მანდობ, ვასწავლი მათ მის (ნესტორის) მოძღვრებას და ისინი აღარ იქნებიან რომაელთა ჯაშუშები სპარსელთა მიწაზე“. მაშინ მეფემ მისცა მას მეომრები და ბაბაი და ყველა ქრისტიანი მის ძალაუფლებას დაუქვემდებარა.

ბარსუმამ უთხრა ბაბაის: „მიიღე ნესტორის მოძღვრება და დარჩი შენი ეკლესიის მეთაურად.“ - წმინდანმა მიუგო: „შენი ძლიერება შენთანვე იყოს წარსაწყმედად, მე კი შევაჩვენებ ნესტორს და ყველას, ვინც მის მსგავსად ფიქრობს.“ უღმერთო ცდილობდა მოხუცი ტანჯვითა და სიკვდილით შეეშინებინა. - წმინდანმა მიუგო: „ჭეშმარიტების მტერო, ახალო იულავ! რა არის შენთვის სიკვდილზე უფრო მძიმე? უთვალავჯერ მოკვდები, ვიდრე ჩემს ჭეშმარიტებას შევიცვლი.“ ბარსუმამ [ჯერ] ბრძანა, რომ მისთვის ენა მოეკვეთათ, იმ საბაბით, რომ მან მეფე შეურაცხყო, შემდეგ კი [მას] თავი მოჰკვეთეს. ნეტარის მითითების თანახმად, მორწმუნებმა იგი კედელში მოათავსეს, სადაც ის დგას სახით აღმოსავლეთისკენ, სანამ ძე ღვთისა არ მოვა და სამართლიანი შურისგება არ მოხდება.

ბარსუმამ ქტეზიფონი დატოვა და ბეთ გარმაიში ავიდა, ეპისკოპოსები გაიქცნენ, ზოგიერთი - ჯაზირაში, სხვები - სომხეთში, სხვებმა, შიშისგან დაუძღურებულებმა, მიიღეს მისი უღმერთობა. მან დახოცა ისინი, ვინ არ მიიღო [მისი რწმენა]. იგი ჩავიდა ადიაბენეს არბელაში,<sup>44</sup> ადგილობრივი მიტროპოლიტი გაიქცა, [ხოლო] მღვდლები მორწმუნეთა დიდ რაოდენობასთან ერთად დახოცეს. ის ჩავიდა ნინევიის მხარეში და შეიპყრო მარ მათეს მონასტრისა და ნინევიის მიტროპოლიტი ბარ შაჰდე, ამ მონასტრის თორმეტი

<sup>44</sup> თანამედროვე ერბილი, ერაყის ქურთისტანში.

მონაზონი და ოთხმოცდაათი მღვდელი. მან მათ სთხოვა, რომ შეეწირათ მსხვერპლი და ზიარება მიეცათ მისთვის, ან თავად ზიარებოდნენ ამ უწმინდურის მიერ შეწირულ მსხვერპლს. ამ ახოვნებმა მიუგეს: „ღმერთმა დაგვიფაროს, რომ წმიდა მივცეთ ძაღლებს!<sup>45</sup> ან სისხლით წაბილწული ხელის უწმინდურება.“ მან დახოცა ყველა ეს [მღვდელი] ბიზონითას მონასტერში.<sup>46</sup> რაც შეეხება ელფევის მთებში მდებარე მარ მათეს მონასტერს, რადგანაც მასში ათასობით ბერი ცხოვრობდა, მან (ბარსუმამ - დ.ჩ.) მას ცეცხლი წაუკიდა. მან ყველა მორწმუნე მოკლა და არა მხოლოდ მონასტრებს შეუტია, არამედ სხვა [ქრისტიანების] დევნაც ბრძანა. ამიტომ, ყველას, ვინც გამბედაობა გამოიჩინა, ვინც შეეწინააღმდეგა და მთებში გაიქცა, იმ დროიდან დღემდე „მონაზვნებს“ უწოდებენ.

როდესაც ის ნუჰადრაში ჩავიდა და სამუელის საპყრობილეში ასვლა მოინდომა, რომელიც მურდანის დასახლებასთან ახლოს მდებარეობდა, მის ცხენს უფლის ანგელოზი გამოეცხადა და წინსვლის საშუალება არ მისცა, მიუხედავად იმისა, რომ მან ძალა დაატანა ცხენს, იგი არ განძრეულა. მან ნეტარ სამუელს სთხოვა, მისი ცხენი გაეხსნა და სამუელმა მისი ცხოველი გაუშვა. შემდეგ იგი სოფელ ბეთ ედრაიში წავიდა, სადაც დაამტკიცა თავისი უწმიდური კანონები. მან განსაზღვრა, რომ არც ერთი მღვდელი, დიაკვანი ან ეპისკოპოსი არ იქნებოდა მეუღლის გარეშე.<sup>47</sup> ეს იმიტომ ჰქმნა, რომ თავად იგი არ გაეკიცხათ მეძავთან თანაცხოვრების გამო. მან შეიტყო, რომ ქტეზიფონის მორწმუნეები შეიკრიბნენ და ფარულად დაადგინეს კათოლიკოსი - კაცი, სახელად აკაკი<sup>48</sup>. მან მისწერა [აკაკის] და შეახსენა ბაბაის მკვლელობა. გულგატეხილმა აკაკიმ სიკვდილის შიშით მიიღო ნესტორიანელობა.<sup>49</sup> ბარსუმა გაემართა სომხეთის საზღვრისკენ და ჩავიდა არზონში<sup>50</sup>. სომხებმა მას მუქარა შეუთვალეს: „თუ არ დაბრუნდები, ჩვენი ხელით აგებ პასუხს მორწმუნეთა სისხლის გამო.“ -

<sup>45</sup> „ნუ მისცემთ სიწმიდესა ძაღლთა“ - მათე. 7.6.

<sup>46</sup> აქ აზრი ბუნდოვანია, წერილის ამ მონაკვეთიდან ისე ჩანს, რომ თითქოს ჩამოთვლილთაგან ყველა ბარსუმამ მარ მათეს მონასტერში შეიპყრო და ყველა დაახოცინა. ბარ ჰებრეუსის ცნობით, ბარსუმამ მარ მათეს მონასტერში შეიპყრო ბარ შაჰდე და თორმეტი მონაზონი, რომლებიც ბორკილდაღებული გაგზავნა ნიზიბინში, ხოლო თავად ნინევიამი გამგზავრა, სადაც ბიზანითას მონასტერში მოკლა 90 მღვდელი (Bar Hebraeus, Chronicle, 328). ბარ შაჰდესა და 12 მონაზვნის ნიზიბინში დატყვევებაზე წერილის სხვა ნაწილში (იხ. ქვემოთ) წერს მართა ტაგრიტელიც.

<sup>47</sup> სინამდვილეში, ეს მოხდა არა ბეთ ედრაის კრებაზე და კათოლიკოს ბაბაის სიკვდილით დასჯის შემდეგ, არამედ მის სიცოცხლეშივე, 484 წლის აპრილში, ბეთ ლაჰატის კრებაზე. ბეთ ედრაის კრება 485 წლის აგვისტო-სექტემბერში გაიმართა, სადაც ბარსუმა და კათოლიკოსი აკაკი ერთმანეთთან თანაზიარებაში შევიდნენ.

<sup>48</sup> აკაკი - სელევკია-ქტეზიფონის ეპისკოპოსი და აღმოსავლეთის კათოლიკოსი 485-496 წლებში.

<sup>49</sup> იგულისხმება 486 წელს სასანიანთა ირანის დედაქალაქში აკაკის მიერ მოწვეული საეკლესიო კრება.

<sup>50</sup> არზონი - არზანენე, ისტორიული რეგიონი სომხეთის ძველი სამეფოს სამხრეთ-დასავლეთით.

ამ ბოროტმოქმედმა სპარსელთა მეფეს მისწერა: „სომხები აჯანყდნენ შენს წინააღმდეგ.“ მეფემ ეს თავის მრჩევლებს აცნობა, რომელბმაც მას ურჩიეს, ქრისტიანთა დაპირისპირების გამო არ აღეგზნო სამოქალაქო ომი და არ დაეშალა მისი იმპერია. შემდეგ მან მისწერა სომხეთის მთავარს, რომ მისულიყო. სომხებმა უპასუხეს: „თუ შენ არ შეცვლი ჩვენს კანონებს, თუ არ გაგვაგზავნით სხვა ხალხის წინააღმდეგ (214r) [427] თურქების გარდა და ჩვენი ჯვარი წინ წაგვიძღვება, რადგანაც ქრისტიანები ვართ, მოვალთ შეთანხმებისა და ფიცის დასადავად, ხოლო, თუ არა - არ მოვალთ!“ მეფემ, დიდებულთა რჩევით, სომხების რჩევის შესაბამისად იმოქმედა და ბარსუმა უკან დააბრუნა. [ამგვარად] სომხები განერიდნენ ნესტორიანელობას. ბარ შაჰდე და თორმეტი მონაზონი ნიზიბინში, ერთი ებრაელის სახლში ჰყავდათ დაპატიმრებული. როდესაც წყეული ბარსუმა დაბრუნდა, დაჰპირდა ბარ შაჰდეს, რომ ყველა ეპისკოპოსის ხელმძღვანელად დანიშნავდა, თუ მის მოძღვრებას აღიარებდა. ის ასევე დაჰპირდა მონაზვნებს, რომ ეპისკოპოსებად აკურთხებდა. ისინი არ დასთანხმდნენ და მისი ბრძანებით [ბარ შაჰდე] ქვებით ჩაქოლეს, მონაზვნები კი ჯვარს აცვეს. ებრაელმა, რომლის სახლშიც ისინი ჰყავდათ დატყვევებული, მას შემდეგ, რაც მისი ვაჟი სასწაულებრივად განიკურნა, ირწმუნა ქრისტე და წმინდანის მიერ მოინათლა. მან წმინდანის ცხედარი ღამით გადაასვენა ბიზონიტას მონასტერში.

იმ ბოროტებათა გადმოსაცემად, რაც მორწმუნეებმა წყეული ბარსუმას ხელიდან განიცადეს ან იმ მოწამეთა ისტორიების აღსაწერად, რომლებიც მისი ღვევისას გვირგვინოსას იქმნენ, ანგელოზთა ენა დაგვჭირდება, რათა მოწამეთა ხსოვნა ჩვენი მოუქნელობითა და უმეცრებით არ შეილახოს.

ბარსუმამ სამი კრება მოიწვია: პირველი ქტეზიფონში, მეორე - ბეთ გარმაის კარკა ღე სელოკში, და მესამე - ბეთ ედრაიში. ამ კრებებზე მან დაამტკიცა თავისი უღვთო კანონები, რომელთა წინააღმდეგაც წმინდა ფილოქსენემ<sup>51</sup> ორი დიდი წიგნი დაწერა. და რადგანაც ჩვენს ქვეყანაში მღვდელმთავარი არ დარჩა, შვიდი მონაზონი წავიდა ანტიოქიაში და მიიღო ხელთასხმა. როდესაც ისინი დაბრუნდნენ, ვერ შეძლეს საკუთარი თავის გაცხადება. უღვთო ბარსუმას სიკვდილის შემდეგ ჩვენს ქვეყანაში ხელთდასხმის მისაღებად მოვიდა სომხეთის კათოლიკოსი. ამბობენ, რომ წყეული ბარსუმას მიერ მოკლული ეპისკოპოსების, მღვდლების, მონაზვნების, ერისკაცების, დიდებულების და [ზოგადად] ყველა მორწმუნის რიცხვი 7800-ს შეადგენდა.<sup>52</sup> ეს წინ უსწრებდა თეოდოსი უმცროსის [მეფობის] ხანას და

<sup>51</sup> ფილოქსენე მადოგელი (გარდ. 523 წ.), ცნობილი მიაფიზიტი მოღვაწე.

<sup>52</sup> ბარ ჰებრეუსი ასახელებს 7700 ადამიანს Bar Hebraeus, Chronicle, 328.

იმ დროიდან კონსტანტის, ჰერაკლეს ძის,<sup>53</sup> [დრომდე] დიდი დრო გავიდა<sup>54</sup>.”<sup>55</sup>

მიქაელ სირიელი თავისი ქრონიკის ერთ-ერთ წყაროდ დიონისე თელ-მაჰრელს ასახელებს. რომლის ქრონიკაც, მიქაელის ცნობით მოიცავდა პერიოდს იმპერატორ მავრიკიოსის (582-602) ტახტზე ასვლიდან იმპერატორ თეოფილეს (829-842) გარდაცვალებამდე ანუ 582-842 წლების ამბებს.<sup>56</sup>

ისტორიოგრაფიაში მიჩნეულია, რომ ამ პერიოდის ამბებისთვის მიქაელ სირიელის წყარო დიონისე იყო.<sup>57</sup>

ქრონიკის ფრანგულად მთარგმნელი და გამომცემელი ჟან-ბატისტ შაბო თვლიდა, რომ იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელის წერილები მიქაელს აღებული უნდა ჰქონდეს მე-9 საუკუნის ავტორის, დიონისე თელ-მაჰრელის ქრონიკიდან.<sup>58</sup>

დიონისე თელ-მაჰრელი ანტიოქიის იაკობიტი პატრიარქი და სირიის მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქი იყო 818-845 წლებში. მან დარას მიტროპოლიტ იოანეს თხოვნით დაახლოებით 838-842 წლებში დაწერა ქრონიკა, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 582-842 წლების ამბებს მოიცავდა. მაგრამ სამწუხაროდ, უშაულოდ დიონისეს შრომა მცირე ფრაგმენტების გარდა არ შემონახულა.<sup>59</sup>

დიონისეს შრომის გადარჩენილი ფრაგმენტები გერმანულად თარგმნა და გამოსცა რუდოლფ აბრამოვსკიმ და მათში არ შედის ჩვენთვის საინტერესო წერილები.<sup>60</sup>

---

<sup>53</sup> კონსტანს II, ბიზანტიის იმპერატორი 641-668 წლებში. სინამდვილეში იგი იყო არა ჰერაკლეს შვილი, არამედ მისი შვილიშვილი იყო, მისი უფროსი ვაჟის, კონსტანტინე III-ის (ბიზანტიის იმპერატორი 641 წლის თებერვლიდან 641 წლის მაისამდე).

<sup>54</sup> ამის შემდეგ მიქაელ სირიელი აგრძელებს თხრობას ბარსუმას გარდაცვალების გარემოების შესახებ, რომელიც ამ სიტყვებით იწყება: „ჩვენ არაბულად დაწერილ წიგნში ვიპოვეთ, რომ ბარსუმას მკვლელობა ამგვარად მოხდა...“ რასაც ჟან-ბატისტ შაბო ამგვარ შენიშვნას ურთავს: „შემდგომი [სიტყვები] არ არის წერილის ნაწილი, მაგრამ ჩვენ არ ვიცით, მიქაელი საუბრობს თუ აგრძელებს დიონისე თელ-მაჰრელის ციტირებას, საიდანაც ის წარმოადგენს მარუთას წერილს“. Chabot, Chronique, T.2. 440, მენ. 3.

<sup>55</sup> Gregorios Yuhanna Ibrahim, Syriac Codex, 212r-214r; Chabot, Chronique, T.4. 423-427; Chabot, Chronique, T.2.433-440; Moosa, Chronicle, 565-468.

<sup>56</sup> Robert G. Hoyland, Seeing Islam as Others Saw It: A Survey And Evaluation Of Christian Jewish And Zoroastrian Writings On Early Islam (Princeton, N.J.: Darwin Press, 1997), 416; Moosa, Chronicle, 579).

<sup>57</sup> Dorothea Weltecke, Die "Beschreibung der Zeiten" von Mör Michael dem Grossen (1126-1199): eine Studie zu ihrem historischen und historiographiegeschichtlichen Kontext. (Corpus scriptorum christianorum orientaliū 594; Subsidia 110), (Louvain: Peeters, 2003). 143-144.

<sup>58</sup> Chronique, T.2. 440, მენ.3.

<sup>59</sup> Hoyland, Seeing Islam, 417; Philip Wood, "New histories of a time of conflict: The seventh century in the Chronicle of Michael the Syrian". Travaux et mémoires 26 (2022) : 582.

<sup>60</sup> Rudolf Abramowski, Dionysius von Tellmahre, jakobitischer Patriarch von 818–845. Zur Geschichte der Kirche unter dem Islam. (Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes 25:2) (Leipzig: Komm. Brockhaus, 1940), 130–42.

ერთი მხრივ ამის გათვალისწინებით და მეორე მხრივ, რადგანაც მართალია დიონისე მიქაელ სირიელის წყარო იყო, მაგრამ მიქაელი უცვლელად არ გადმოსცემს დიონისეს ცნობებს, არამედ ამოკლებს, ავრცობს ან ცვლის.<sup>61</sup> დანამდვილებით იმის თქმა, არის თუ არა იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელის მიმოწერა, რომელიც მიქაელ სირიელის თხზულებაშია დაცული, ნამდვილად უცვლელი სახით შემონახული, შეუძლებელია.

გასათვალისწინებელია ისიც, რომ ეს მიმოწერა შემონახულია მხოლოდ სირიულ ხელნაწერში და არც ერთ სომხურ თარგმანში იგი არ მოიპოვება. ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მიქაელის ქრონიკის ორიგინალში, საიდანაც სომხური თარგმანი შესრულდა, ეს წერილი არ იყო და იგი მხოლოდ სომხური თარგმანის შესრულების შემდეგ არის ჩამატებული?

რადგანაც ცნობილია, მიქაელის ქრონიკის სირიული ორიგინალი და მისი სომხური თარგმანები არ არის იდენტური ტექსტები.<sup>62</sup> მეტიც, გერმანელი მეცნიერი ფელიქს ჰაასი (Felix Haase – 1882-1965), რომელმაც ერთმანეთს შეადარა მიქაელ სირიელის ქრონიკის სირიული ტექსტი და სომხური თარგმანები, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სომხური ვერსია არ არის სირიული ქრონიკის თარგმანი, არამედ სომეხი რედაქტორების დამოუკიდებელი ნაშრომი. მისი დასკვნით, სომეხმა რედაქტორებმა გამოტოვეს ან შეამოკლეს ქრონიკის დიდი ნაწილი. ის ასევე ამტკიცებს, რომ ადგილობრივი პატრიოტული ინტერესების გამო, სომეხმა რედაქტორებმა დაამატეს სომხური ეკლესიის ისტორიის მრავალი მოვლენა და ლეგენდა.<sup>63</sup> ვფიქრობ, სწორედ ამავე მიზეზით უნდა გამოეყოფინათ აღნიშნული წერილი მიქაელის ქრონიკის სომხური თარგმანის ავტორებს და იგი ქრონიკის თავდაპირველ სირიულ ვერსიაში ნამდვილად უნდა ყოფილიყო.

მაგრამ ამ დასკვნით ბუნებრივია პასუხგაუცემელი რჩება კითხვა, ხომ არ არის იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელის მიმოწერა მიქაელ სირიელის კალმის შემოქმედება ან რამდენად უცვლელად მოაქვს მას ეს მიმოწერა და ხომ არ არის იგი მის მიერ საკუთარი ინტერესების მიხედვით რედაქტირებული? რა თქმა უნდა, თეორიულად ასეთი რამ სრულიად დასაშვებია, ოღონდ ამ შემთხვევაში მიქაელის ქმედებას შესაბამისი ახსნა უნდა მოეძებნოს.

რა შეიძლებოდა ყოფილიყო მიქაელის მიერ ამ წერილის შეთხზვის მიზანი? რადგანაც წერილში გატარებულია აზრი, რომ 484 წლამდე სპარსეთის, სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის საკათოლიკოსო ტახტი ანტიოქიის პატრიარქს ექვემდებარებოდა, ამიტომაც შეიძლება ვივარაუდოთ, რომ მიქაელის მიზანი ამ ეკლესიებზე გავლენის გავრცელება ყოფილიყო. მაგრამ ეს მიზანი, ასეთის არსებობის შემთხვევაში, რამდენად იყო მისაღწევი? ამის გასარკვევად ცალცალკე უნდა განვიხილოთ ამ ეკლესიებში არსებული ვითარება.

**ა. სპარსეთი** - სასანიანთა ირანში (224/226-651) მცხოვრები მიაფიზიტები 484 წელს გამოეყვნენ აღმოსავლეთის ეკლესიას, რომელმაც თეოდორე

<sup>61</sup> Hoyland, Seeing Islam, 418.

<sup>62</sup> Sawalaneants, The Armenian Epitome, Version I. IX.

<sup>63</sup> Felix Haase, "Die armenische Rezension der syrischen Chronik Michaels des Grossen," Oriens Christianas. Neue Series V, 13 (1915), 69-82; 271-283.

მოფსუესტელის, უკიდურესი დიოფიზიტური ქრისტოლოგია მიიღო.<sup>64</sup> ისინი 559 წლამდე მტკიცე საეკლესიო ორგანიზაციის გარეშე ცხოვრობდნენ. 559 წელს ედესის მიაფიზიტმა ეპისკოპოსმა იაკობ ბარადაიოსმა (543/544-578) აღმოსავლეთის დიდ მიტროპოლიტად აკურთხა აჰუდემეჰი (559-575).<sup>65</sup> რითაც სასანიანთა ირანში ჩამოყალიბდა მიაფიზიტური საეკლესიო ორგანიზაცია. მოგვიანებით (დეტალურად იხ. ქვემოთ) აღმოსავლეთის დიდი მიტროპოლიტი ანტიოქიის პატრიარქს დაექვემდებარა.

მიქაელ დიდის თანამედროვე აღმოსავლეთის დიდი მიტროპოლიტი (მაფრიანი) იყო იოანე IV (1164-1188), რომელიც მიქაელ დიდის წინამორბედმა ანტიოქიის პატრიარქმა ათანასე VII-მ (1139-1166) აკურთხა. მართალია, იგი ანტიოქიის საყდარს ექვემდებარებოდა, მაგრამ 1178 წელს მაფრიან იოანესა და მიქაელ დიდს შორის უთანხმოება ჩამოვარდა. უთანხმოების მიზეზი იყო ჰასასინების (Hassassinorum)<sup>66</sup> სექტა ტაგრიტის რეგიონში. ისინი ეკლესიას ადრეული პერიოდიდან იყვნენ ჩამოშორებულნი. 1178 წელს ისინი ანტიოქიის პატრიარქს ეახლნენ და მიქაელს სთხოვეს მათთვის ეპისკოპოსი ეკურთხებინა. მიქაელმა სიყვარულით მიიღო ისინი, მაგრამ რადგანაც ტაგრიტის რეგიონი აღმოსავლეთის მაფრიანის განსაგებელი ტერიტორია იყო, მიქაელმა უარი თქვა მათთვის ეპისკოპოსის კურთხევაზე, ამასთან მათ დაჰპირდა, რომ აღმოსავლეთის მაფრიანს მათთვის ეპისკოპოსის კურთხევაზე მითითებას მისცემდა. მათ დაჟინებით ითხოვეს მიქაელისგან, რომ მაფრიანის გვერდის ავლით ეკურთხებინა მათთვის ეპისკოპოსი, მაგრამ პასუხად მიიღეს, რომ ეს მხოლოდ აღმოსავლეთის მაფრიანის თანხმობით მოხდებოდა. როდესაც მაფრიანმა იოანემ შეიტყო, რომ ჰასასინები ანტიოქიის პატრიარქთან მივიდნენ, რომელმაც სიყვარულით მიიღო ისინი, კრება მოიწვია, რომელზეც ანათემას გადასცა ისინი და ყველა, ვინც მათ მიიღებდა. მიქაელმა ვითარების განსამუხტად იოანეს მოციქულები გაუგზავნა, რომლებიც აღმოსავლეთის მაფრიანმა არ მიიღო. იოანემ წამოიწყო განხეთქილება, მაგრამ მალევე იძულებული გახდა პატიება ეთხოვა ანტიოქიის პატრიარქისთვის, მიქაელმა შეუნდო მას და დააბრუნა თავისი ეპარქიაში.<sup>67</sup>

1180 წელს სირიულ იაკობიტურ ეკლესიაში განხეთქილება დაიწყო, რამდენიმე ეპისკოპოსმა სცადა მიქაელ დიდისთვის ანტიოქიის პატრიარქის ტახტი წაერთმია, მათ სცადეს მიემხროთ იოანე IV-ც, რომელმაც უარი განაცხადა და მიქაელ დიდისა და ანტიოქიის საყდრის ერთგული დარჩა.<sup>68</sup>

1188 წელს იოანე გარდაიცვალა, ამით ისარგებლეს სქიზმატებმა და ანტიოქიის ანტიპატრიარქის, თეოდორე ბარ ვაჰბუნის (1180-1193) ხელშეწყობითა და ადგილობრივი მუსლიმი მმართველების დახმარებით აღმოსავლეთის მაფრიანად აკურთხეს დიონისე ბარ მასიჰი (1189-1190). მოსულისა და ტაგრიტის ქრისტიანებმა მიქაელს შეატყობინეს, რომ არ სცნობდნენ დიონისეს, საპასუხოდ მიქაელმა აღმოსავლეთის მაფრიანად აკურთხა თავისი ძმისშვილი, გრიგოლ I

<sup>64</sup> დავით ჩიქოვანი, „სიმეონ ბეთ არშამელი, "წერილი" ბარსუმასა და ნესტორიანელთა ერესის შესახებ“. ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XVI (2024): 250.

<sup>65</sup> Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*, trans., by David Wilmshurst (Piscataway: Gorgias Press, 2015), 338.

<sup>66</sup> მას არაფერი აქვს საერთო ასასინების მუსლიმურ ორდენტან.

<sup>67</sup> Bar Hebraeus, *Chronicle*, 432-434.

<sup>68</sup> Bar Hebraeus, *Chronicle*, 200-202.

(1189-1214). რაც შეეხება დიონისე ბარ მასიჰს, იგი მომღევნო წელს ქალაქ მოსულში დააპატიმრეს. მართალია, მან ამის შემდეგაც გააგრძელა აღმოსავლეთის მაფრიანობის ძიება, მაგრამ შედეგს ვერ მიაღწია.<sup>69</sup>

როგორც ვნახეთ, მართალია, აღმოსავლეთში გარკვეული პრობლემები არსებობდა, მაგრამ ეს ანტიოქიის ტახტისა და აღმოსავლეთის მაფრიანობის მსურველთა შიდა დაპირისპირება უფრო იყო, ვიდრე საფრთხე იმისა, რომ აღმოსავლეთის მაფრიანი ანტიოქიის პატრიარქის დაქვემდებარებიდან გამოვიდოდა. შესაბამისად, არსებული ვითარება მიქაელისგან არ მოითხოვდა გამოსავალი წყაროთა რედაქტირება-შესწორებაში ენახა.

**ბ. სომხეთი** - სირიის იაკობიტური და სომხეთის ეკლესიები ორივე მიაფიზიტური მრწამსის ეკლესიები იყო, თუმცა მაინც ერთმანეთისგან განსხვავებულ ქრისტოლოგიურ დოქტრინაზე მდგარი. VI საუკუნის დასაწყისში მიაფიზიტური მრწამსის მიმდევრები ორ მოცილე ბანაკად გაიყვნენ. ერთს სათავეში ჩაუდგა სევეროს ანტიოქიელი (459/465-538), ანტიოქიის პატრიარქი 512-518 წლებში, ხოლო მეორეს - ჰალიკარნასის ეპისკოპოსი იულიანე (ივლიანე ჰალიკარნასელი - გარდ. 527 წლის შემდეგ). მათ მიმდევრებს შესაბამისად სევერიანელები და ივლიანიტები ეწოდათ.<sup>70</sup>

ორივე პიროვნება აღმოსავლეთ რომის იმპერიის მიაფიზიტი იმპერატორის, ანასტასის (491-518) მეფობისას საეპისკოპოსო კათედრას ფლობდა, 518 წელს ანასტასის გარდაცვალების შემდეგ იმპერიის ტახტზე ქალკედონიტი იუსტინე (518-527) ავიდა. სევერუსი კონსტანტინოპოლში იქნა გამოძახებული (გასასამართლებლად თუ ენის ამოსაკვეთად), სევერუსმა თავი აარიდა კონსტანტინოპოლში გამოცხადებას, ანტიოქიიდან გაიქცა და თავი ეგვიპტეს შეაფარა, სადაც ალექსანდრიის მიაფიზიტმა პატრიარქმა ტიმოთე ელურმა (517-535) სიხარულით მიიღო. იგი ეგვიპტის ერთ-ერთ მონასტერში გაემგზავრა, ამავე მონასტერში ჰპოვა თავშესაფარი იმპერატორის მიერ გადაყენებულმა ჰალიკარნასის ეპისკოპოსმა იულიანემაც.<sup>71</sup>

დაახლოებით 520-527 წლებს შორის ორ გადასახლებულ ეპისკოპოსს შორის ცხარე კამათი გაჩაღდა, ქრისტეს სხეულის ხრწნადობისა და სხვა ქრისტოლოგიურ საკითხებთან დაკავშირებით. სევერუსმა ვერც ამ კამათის მიმდინარეობისას და ვერც შემდეგ ვერ შეძლო იულიანეს გავლენების ჩახშობა.<sup>72</sup>

სევერუსის ქრისტოლოგიური დოქტრინა ასეთი იყო: ძე ღვთისას ღვთაებრივ ბუნებას მთლიანად არ შთაუნთქავს კაცობრივი, თუმცა კი კაცობრივ ბუნებას თავისი სუბტრაქტი დაუკარგავს და დარჩენილა მხოლოდ ადამიანურ თვისებათა ჯამი, მაგრამ ეს თვისებები რეალურად არსებობენ მასში. თუ ასეა, მაშინ ქრისტეს სხეული ისეთივე ხრწნადია, როგორც ყველა სხვა ჩვეულებრივი მოკვდავისა. (aleqsiZe, 22)

<sup>69</sup> Bar Hebraeus, Chronicle, 434-438.

<sup>70</sup> არსენი საფარელი, განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ. (თბილისი: მეცნიერება, 1980). 22.

<sup>71</sup> Pauline Allen and Robert Hayward, Severus of Antioch (London–New York: Routledge, 2004), 24-25.

<sup>72</sup> Allen and Hayward, Severus of Antioch, 28.

ივლიანიტების ქრისტოლოგიური დოქტრინა შემდეგი იყო: ძე ღვთისა შეიმოსა არა ცოდვილ ადამიანთა, არამედ ღვთაებრივი ადამიანის, ცოდვამდელი ადამის ხორციით. ამიტომ განხორციელება იმდენად სრული აღმოჩნდა, რომ ქრისტეს კაცობრივი ბუნების თვისებებს ღვთაებრივი ხასიათი მიენიჭა, თუ ასეა, მაშინ ქრისტეს ხორციც ღვთაებრივი და უხრწნელი ყოფილა (ალექსიძე, 22).

ივლიანე ჰალიკარნასელი 527 წლის ახლო ხანებში გარდაიცვალა, 538 წელს გარდაიცვალა სევერუს ანტიოქიელი, მათ მიმდევრებს შორის დავა კი მათი სიკვდილის შემდეგაც გაგრძელდა. სევერიანელთა სექტას სევერუს ანტიოქიელის სიკვდილის შემდეგ სათავეში ჩაუდგა იაკობ ბარადაიოსი (ელესის ეპისკოპოსი 543/544-578 წლებში). მას თავისი დამოუკიდებელი მოძღვრება არ შეუქმნია, იგი უცვლელად ქადაგებდა სევერიანულ იდეებს, მან მიზნად დაისახა აღმოსავლეთ რომის იმპერიაში ეკლესიის ოფიციალურ პოზიციად ანტიქალკედონიზმის აღდგენა. მართალია, მან ეს ვერ მოახერხა, მაგრამ შეძლო იერარქიული ორგანიზაციისა და დამოუკიდებელი ეკლესიის ჩამოყალიბება. თუ 519-დან 544 ან 557/8 წლამდე ანტიოქიის საპატრიარქო ტახტზე მხოლოდ ქალკედონიტი პატრიარქები ისხდნენ, ვიდრე იაკობ ბარადაიოსმა კონსტანტინოპოლში სევერუს ანტიოქიელის „მემკვიდრედ“ და ანტიოქიის პატრიარქად არ აკურთხა სერგი (557/8-560), მართალია ეს კურთხევა მხოლოდ სიმბოლური აქტი იყო, რადგანაც სერგის არასდროს დაუტოვებია კონსტანტინოპოლი, მაგრამ მას უდიდესი მნიშვნელობა ჰქონდა ანტიქალკედონიტებისთვის. ამიერიდან ოფიციალურად ჩამოყალიბდა სირიის მართლმადიდებლური ეკლესია, რომელიც დღემდე იაკობ ბარადაიოსის სახელის მიხედვით იაკობიტური ეკლესიის სახელითაა ცნობილი<sup>73</sup>.

თუ სირიასა და სპარსეთში მიაფიზიტობის სევერიანულ-იაკობიტური მიმართულება იყო ძლიერი, სომხეთში თავიდანვე ივლიანე ჰალიკარნასელის მოძღვრება იქნა შეწყნარებული, სევერუსის მოძღვრება კი დაგმობილი. სომხური და სირიულ-იაკობიტური ეკლესიების დასაახლოვებლად პირველი ნაბიჯები 726 წლის მანაზკერტის კრებაზე გადაიდგა. ანტიოქიის იაკობიტ პატრიარქ ათანასე III-სა (724-740) და სომეხთა პატრიარქ იოანე III ოძუნელს (717-728) შორის ეკლესიათა ერთობა აღდგა. მაგრამ ეს ერთობა სუსტი და ხანმოკლე აღმოჩნდა და სომხებმა მალევე უარყვეს ეს ერთობა.<sup>74</sup>

დოგმატურ საკითხებში სომხური და სირიულ-იაკობიტური ეკლესიების თანხმობა აშკარად ჩანს XI საუკუნის II ნახევრიდან. 1058/1059 წლით დათარიღებულ, გრიგოლ მაგისტროსის წერილში სირიის იაკობიტ პატრიარქისადმი აღნიშნულია, „ჩვენ თქვენგან არაფერს ვითხოვთ სარწმუნოების გამო, რადგან ერთობით და კეთილსახეობით გამდიდრებულნი ხართ; ჩვენთან და ჩვენს საპატრიარქოში შენს სიწმიდეს... ისე გთვლით - თანამოსაყდრედ, თანამწირველად და მით უფრო თანამღვდელად - ხელს-ვისხამთ თქვენგან და ხელს-გასხამთ და ყველაფერს ვაკეთებთ ერთნებად, რაც კი მღვდელმსახურებას შეჰქვერის“.<sup>75</sup>

<sup>73</sup> Pauline allen. "Episcopal Succession in Antioch in the Sixth Century." in Johan Leemans et al., ; Peter Van Nuffelen; Shawn W. J. Keough; Carla Nicolay. Episcopal Elections in Late Antiquity. Walter de Gruyter. 2011) 30-31; არსენი საფარელი, განყოფისათვის, 22.

<sup>74</sup> არსენი საფარელი, განყოფისათვის, 23-27; Bar Hebraeus, Chronicle, 104.

<sup>75</sup> არსენი საფარელი, განყოფისათვის, 28.

გასათვალისწინებელი, რომ ამ პერიოდში სომხური სამეფოები ბიზანტიელების მიერაა ანექსირებული. თავად გრიგოლ მაგისტროსი ანისის სამეფოს ანექსიის (1045) შემდეგ ედესის პროვინციის მმართველი იყო. მალევე სომხეთის ეკლესიაში ერდროულად 4 საკათოლიკოსო გაჩნდა: ყარსში, ანისში, ტარსსა და მარაშში.

ერთ-ერთ ასეთ კათოლიკოსს, გევორქს (დაახლ. 1069-1072) ან გრიგოლ II-ს (1065-1105) მჭიდრო ურთიერთობა ჰქონდა ანტიოქიის იაკობიტ პატრიარქ იოანე ბარ შუმანთან (1063-1072). ჩვენამდე მოღწეულია მათი მიმოწერა, მართალია, რომ წერილი პოლემიკური ხასიათისაა, მაგრამ ჩანს, რომ მათ ერთი და იგივე რწმენა აქვთ და ამაზე აღარ კამათობენ. საკამათო მხოლოდ ცალკეული წეს-ჩვეულებებია.<sup>76</sup>

ამგვარი იყო ვითარება თავად მიქაელ დიდის პატრიარქად კურთხევამდე. რაც შეეხება მიქაელ დიდის პატრიარქობის პერიოდს, ეს ხანა სომხური და სირიული ეკლესიების არნახული დაახლოვების ხანაა.

1166 წელს ანტიოქიის პატრიარქი და სირიის იაკობიტური ეკლესიის მეთური გახდა მიქაელ დიდი (1166-1199), იმავე წელს კილიკიის სომეხთა კათოლიკოსის საყდარი დაიკავა ნერსეს IV შნორჰალიმ (1166-1173). კათოლიკოს ნერსეს წერილიდან ბიზანტიის იმპერატორ მანუელ I კომნენოსისადმი (1143-1180) ირკვევა, მიქაელ სირიელმა, სომეხ ერთან გაერთიანების მიზნით ტახტზე ასვლისთანავე, 1166 წელსვე, ორი ეპისკოპოსი გაუგზავნა კილიკიის სომეხთა კათოლიკოსს. ნერსეს ისინი სიყვარულით მიუღია და გადაუწყვიტავს, რომ შესაფერის დროს შეხვდებოდნენ რწმენის საკითხებისა და საეკლესიო ტრადიციების განსახილველად.<sup>77</sup>

ამ ურთიერთობას გარკვეულწილად ართულებდა სირიის იაკობიტური ეკლესიის წევრის, ამიდის მიტროპოლიტ დიონისე ბარ სალიბის (გარდ. 1171) მოღვაწეობა, რომელმაც მრავალი ანტისომხური ტრაქტატი დაწერა, რომელშიც სომხური ეკლესიის რწმენა და მისთვის დამახასიათებელი არაერთი წეს-ჩვეულებაა დაგმობილი.<sup>78</sup>

დიონისე ბარ სალიბი სომეხებს ყველაზე მეტად ერეტიკოსებს უწოდებდა. მაგრამ ამის მიუხედავად ამ ორი ეკლესიის წარმომადგენლებს არ დაუკარგავთ არსებით საკითხებში ერთმანეთთან შეთანხმებისა და ერთიანობის შეგრძნება. სომეხთა სიმპათიები აშკარად სირიელების მხარეს იყო, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მათსა და ბერძნებს შორის იყო არჩევანი გასაკეთებელი.<sup>79</sup>

ერვანდ ტერ-მინასიანი (1879-1874), რომელმაც საგანგებო გამოკვლევა მიუძღვნა სირიის იაკობიტური და სომხური ეკლესიების ურთიერთობას, აღნიშნავს, რომ ნერსე შნორჰალისა და მიქაელ დიდის სიყვარულით აღსავსე მეგობრობა შესამჩნევია. როდესაც ისინი თავიანთ ეკლესიაში რაიმე ცვლილებას

<sup>76</sup> Երուսակ Տէր-Միսաւեան, Հայոց եկեղեցւոյ յարաբերութիւնները ասորւոց եկեղեցիների հետ (հայկական եւ ասորական աղբիւրների համաձայն), (Էջմիածին, 1908), 241-251.

<sup>77</sup> Տէր-Միսաւեան, Հայոց եկեղեցւոյ, 272-274.

<sup>78</sup> Alphonse Mingana, edit. The Work of Dionysius Barsalibi Against the Armenians. (Piscataway, NJ, gorgias press. 2009. 7-70).

<sup>79</sup> Տէր-Միսաւեան, Հայոց եկեղեցւոյ, 267-268.

ახორციელებენ, დაუყოვნებლივ აცნობებენ ერთმანეთს და სურთ იცოდნენ მეზობელი ეკლესიის აზრი.<sup>80</sup>

საინტერესოა ისიც, რომ ნერსეს შნორჰალის გარდაცვალების შემდეგ კილიკიის სომეხთა კათოლიკოსად გრიგოლ IV-ის (1073-1094) აღსაყდრებას ესწრებოდნენ მიქაელ დიდს დაქვემდებარებული სირიელი ეპისკოპოსები, ხოლო გრიგოლმა მიქაელს სარწმუნოების სიმბოლო გაუგზავნა.<sup>81</sup>

როგორც ვხედავთ, მიქაელ დიდის დროს დოგმატური უთანხმოება ფაქტობრივად აღარ შეიმჩნევა სომხურ და სირიულ-იაკობიტურ ეკლესიებს შორის. მაგრამ რამდენად შეიძლება მიქაელ სირიელს მიზნად ჰქონოდა სომხური ეკლესიის დაქვემდებარება?

ამ მხრივ საინტერესოა მიქაელ დიდის სირიულ ქრონიკაში დაცული წერილი, რომელიც ავტორის ცნობით, მას მისწერა კილიკიის სომეხთა კათოლიკოსის ტახტზე ახლად აღსაყდრებულმა გრიგოლ IV-მ და რომელიც ასეთი შინაარსისაა:

„მსურდა, რომ ჩემს კურთხევას დასწრებოდით და ჩემი მაკურთხეველი ყოფილიყავით, და თქვენს ხელებთან ერთად ჩემს თავზე დაგედოთ გრიგოლ [განმანათლებლის], სომეხთა განმანათლებლის, მარჯვენა ხელი, რადგანაც იგია ის, ვინც სამღვდლო კურთხევას ანიჭებს. მაგრამ ხელთდასხმის მსახურების აღსრულება ვიჩქარეთ, რადგანაც გვეშინია თურქთა ჯარის, რომელიც გარს გვახვევია...“<sup>82</sup>

წერილი აშკარად ცალმხრივად ტენდენციურია და ანტიოქიის საპატრიარქოს სომხეთის საკათოლიკოსოზე აღმატებულად წარმოჩენას ემსახურება. შედარებისთვის, მიქაელის ქრონიკის სომხური თარგმანი არაფერს ამბობს სომეხთა კათოლიკოსის მიერ ამ შინაარსის წერილის გაგზავნაზე, იგი მხოლოდ მის კურთხევაზე სირიელი ეპისკოპოსების ყოფნასა და მიქაელ სირიელისთვის სარწმუნოების აღსარების გაგზავნაზე წერს, ამ უკანასკნელს კი იმ ტრადიციით ხსნის, რომლითაც სირიის ახალი პატრიარქი ვალდებული იყო სომეხთა კათოლიკოსისთვის გაეგზავნა თავისი სარწმუნოების აღსარება, ისევე, როგორც პირიქით.<sup>83</sup>

შესაძლოა, სწორედ მიქაელის გაცხადებული მისწრაფება სომხური ეკლესიის დაქვემდებარებისა გახდა შემდეგში სომეხთა კათოლიკოს გრიგოლ IV-ს მიერ მისი დამხობის მცდელობის მიზეზი - კათოლიკოსმა გრიგოლმა XII ს. 80-იან წლებში თავისთან მიიღო მიქაელ სირიელთან დაპირისპირებული თეოდორე ბარ ვაჰბუნი (Theodoros bar Wahbun - გარდ. 1193 წ.), და ყველაფერი იღონა მის ასაყვანად ანტიოქიის პატრიარქის ტახტზე და მიქაელ სირიელის დასამხობად.<sup>84</sup> აღსანიშნავია, რომ თავად მიქაელ სირიელის ცნობით, თეოდორე ბარ ვაჰბუნი გრიგოლს დაჰპირდა, რომ დანმარების სანაცვლოდ სირიელებს მას დაუქვემდებარებდა.<sup>85</sup> მიქაელის ეს ცნობა რამდენად სიმართლეს შეესაბამება, ეს

<sup>80</sup> ՏԷԻ-Միսսսեսան, Հայոց եկեղեցու, 280.

<sup>81</sup> Langlois, Chronique, 336.

<sup>82</sup> Moosa, The Syriac Chronicle, 704; Chabot, Chronique, T. III, 354-355.

<sup>83</sup> Langlois, Chronique, 336.

<sup>84</sup> Bar Hebraeus, Chronicle, 204.

<sup>85</sup> Moosa, The Syriac Chronicle, 722.

უცნობია, მაგრამ, ვფიქრობ, აქ ნათლად ჩანს სომეხთა კათოლიკოსსა და ანტიოქიის იაკობიტ პატრიარქს შორის დაპირისპირება პირველობისა და გავლენებისთვის.

ასეთ ბრძოლას რომ ნამდვილად ჰქონდა ადგილი, ეს მოსაზრება შეიძლება გავამყაროთ იმ ფაქტით, რომ, მართალია, სომხურ თარგმანში არც იოანე ანტიოქიელის წერილი მარუთასადმი და არც მარუთა ტაგრიტელის საპასუხო წერილი არ არის შემორჩენილი, მაგრამ, ამ წერილების გამოცხადებული მაინც შეინიშნება სომხურ თარგმანში - ამ მხრივ საინტერესოა სომხურ თარგმანში არსებული წერილი, რომელიც ამავე რედაქციის მიხედვით იოანე ანტიოქიელის წინამორბედს, ანტიოქიის პატრიარქ ათანასე I -ს (594/595 ან 603 – 631) მიუწერია სომხეთის პატრიარქ ქრისტეფორე II-სთვის (628-630). აღნიშნული წერილი დიდ მსგავსებას ავლენს მიქაელ სირიელის ქრონიკის სირიულ ტექსტში დაცულ, მარუთა ტაგრიტელის საპასუხო წერილთან იოანე ანტიოქიელისადმი. შედარებისთვის, ქვემოთ წარმოვადგენ ამონარიდებს მიქაელ სირიელის ქრონიკის სომხურ თარგმანში დაცული, ათანასე ანტიოქიელის „წერილიდან“ სომეხთა კათოლიკოს ქრისტეფორესადმი:

„ამ ხანებში წმინდა ადამიანმა, სირიელი მართლმადიდებლების პატრიარქმა, ათანასემ, სომეხთა პატივდებულ კათოლიკოს ქრისტეფორეს<sup>86</sup> წერილი მისწერა,<sup>87</sup> რომელიც შემდეგი შინაარსისაა:

„ჩემს მამასა და უფალს, ქრისტეფორეს, (Յօր իմոյ և Տեանս Բրիստապօրի) უფლისმიერი მოკითხვა:

გვესმა, რომ თქვენმა უწმინდესობამ არ მოიწონა ეზრას უგუნური ქმედება (ასსմոսւթիւնս)<sup>88</sup>, ჩვენ მაღლობა შევსწირეთ ქრისტე-დმერთს (Բրիստոսս Աստուած) და მის მოწყალებას, რომელიც თქვენზე გარდამოვიდა. უნდა შეგახსენოთ, პატივცემული მამათმთავარო (հայրապետ) რამდენიმე რამ, რაც ჩვენ ვიპოვეთ თქვენი თანამემამულის, წმინდა მარუთას მიერ დაწერილ [წერილში], რაც ადასტურებს, რომ მაცდური ბარსუმა (Բարսումայ ապակախչ) ნესტორის მომხრეებს შორის იყო. ის ურჰამი<sup>89</sup> იმყოფებოდა ეფესოს წმიდა კრების ჩატარების დროს, ისევე, როგორც სპარსეთის კათოლიკოსი პავი (Պարսս կաթօղիկոս եր Պակի)<sup>90</sup>, რომელიც სომხების

<sup>86</sup> ქრისტეფორე II სომხეთის კათოლიკოსი იყო 628-630 წლებში.

<sup>87</sup> სომხური თარგმანის მეორე, უფრო გვიანდელი ვერსია აქ ამბობს: „რომ მას უნდა ეზრუნა სპარსელთა ტერიტორიასა და სირიელ ქრისტიანებზე“ Sawalaneants, Tigran. edit. The Armenian Epitome of the Chronicle of Michael the Great. VERSION II. (Texts and Translations of the Chronicle of Michael the Great, Volume 8) (Piscataway: Gorgias Press, 2011), 313.

<sup>88</sup> სომხეთის კათოლიკოსი ეზრა, რომელიც სომხეთის საკათოლიკოსო ტახტზე ქრისტეფორეს შემდეგ ავიდა და 630-641 წლებში ეჭირა იგი. მის უგუნურ ქმედებაში კი უნდა იგულისხმებოდეს 631 წლის თეოდოსიოპოლის კრებაზე კონსტანტინოპოლის ეკლესიასთან ერთობაში შესვლა. რა თქმა უნდა, ათანასე ანტიოქიელი ქრისტეფორეს ვერ მისწერდა იმას, რაც ქრისტეფორეს გარდაცვალების შემდეგ მოხდა.

<sup>89</sup> ედესა. ქრონიკის მეორე, უფრო გვიანდელი თარგმანის მიხედვით, ბარსუმა ამ დროს ნიზიბინში (Միծբին) იმყოფებოდა (Sawalaneants, The Armenian Epitome, VERS. II. 314)

<sup>90</sup> იგულისხმება აღმოსავლეთის ეკლესიის კათოლიკოსი ბაბოვავი (457-484).

მიერ იყო კურთხეული... როდესაც ცბიერმა გველმა<sup>91</sup> (ὄβλι χιουρამასი) შეიტყო ნესტორის განსჯისა და გადასახლების შესახებ, საშინლად დაწყულელებული წავიდა სპარსეთის მეფესთან (Պարսից թագավոր) და ეს სიტყვები უთხრა: ... თქვენ არ იცით, რომ კათოლიკოსი [პავი] მხოლოდ სომეხთა და რომაელთა მიერ თქვენს სამფლობელოში გამოგზავნილი ჯამუშია (լուთես) და აი წერილი, რომელშიც იგი თქვენ [სახელების გარეშე] უსამართლოს, ბოროტს და სისხლისმსმელს (անიւնս և չար և արիւնասիւն) გიწოდებთ.“ მეფემ დაიჯერა მისი ნაამბობი და მის ხელში ჩააგდო პავი და სპარსეთის სამთავროს (իչխასուրթէան պարսից) ყველა ქრისტიანი....

ბოროტის მოქმედი (վսասակար) [ბარსუმა] სომხეთში მივიდა, [ხოლო] მათ (სომხებმა - დ.ჩ.) გაუგზავნეს მოციქულები, რათა ეღვენათ იგი და მასთან ერთად მყოფი ჯარი, მათ (სომხებმა - დ.ჩ.) წერილი მისწერეს, რომ ცეცხლში დაწვავდნენ, თუ თავის მცდელობას გაიმეორებდა. ბილწმა (պիղծ) [ბარსუმამ] უთხრა [სპარსეთის] მეფეს: „სომხები შენს წინააღმდეგ აჯანყდნენ“. მეფე განრისხდა და უბრძანა სომხებს, რომ სომეხთა მეფე და კათოლიკოსი (Թագավոր Յայց և Կաթուղիկոս) მოსულიყვნენ და პასუხი ეგოთ მათი ქმედებისთვის. სომხებმა უპასუხეს სპარსელებს და უთხრეს: „ ჩვენი სარწმუნოების გამო თქვენ წინაშე არაფრით ვართ ვალდებულნი, გიგზავნით თქვენ მიერ [ჩვენთან] დადებულ პირობას, რომელშიც ნათქვამია: „როდესაც სომხები ჩვენთან მოვლენ ჩვენი მტრების წინააღმდეგ ომში დასახმარებლად, მათი თანმხლები იქნება მათი სამღვდელთა და მათი ჯვარი, [და იცხოვრებენ] მამათა ტრადიციული რწმენით.“ თუ ახლა თქვენს აღთქმას დაარღვევ, ჩვენც გავთავისუფლდებით ფიცისგან და არ მოვალთ იმის თაობაზე, რასაც ჩვენგან ითხოვ! უფრო მეტიც, თუ ბარსუმა გაბედავს თავისი ხალხით ჩვენს ქვეყანაში დაბრუნებას, იგი ვერასდროს გნახავთ!“

ამგვარად, სატანის მახვილი (սուրս սատասայի) და სამყაროს მეორე წარღვნა (Երկրորդ քիչէլէլს աջխարիხ) სომხეთში არ შესულა... წმინდა მარუთამ (սուրբ Մարութայ) აღრიცხა ყველა ის უბედურება, რაც ასურეთმა (Ասուրեստას) გადაიტანა, [და] რომლისგანაც თქვენ ქრისტეს წყალობით საკუთარი თავი იხსენით.

ამიერიდან, სპარსეთის ქვეყანას და ნინევიის მხარეს [աշխարիդ Պարսից և կողմასքո Նիսուէի], რომელიც ჩემი და ანტიოქიის საყდრის (պոռոიյս Աստիոբայ) დაქვემდებარების ქვეშაა, და რომლის მართვაც ჩვენ, საშინელი საფრთხეებით გარშემორტყმულთ, არ შეგვიძლია, თქვენს უწმინდესობას ვანდობთ და გთხოვთ, თანაგრძნობით იზრუნოთ მათზე, მქადაგებლებისა [სულიერი] მკურნალების გაგზავნის მეშვეობით, სადაც კი [ბარსუმას ერესის] ჭირი ყველაზე მეტად გავრცელდა. დაუდგინეთ მათ მწყემსები საჭიროების მიხედვით და აღმოუჩინეთ ძმური დახმარება - [334] ესაა ჩემი თხოვნა...“<sup>92</sup>

<sup>91</sup> იგულისხმება ბარსუმა

<sup>92</sup> Sawalaneants, Armenian Epitome, VERS. I, 328-334.

ერთი შეხედვითაც კი ამკარაა, რომ მიქაელის ქრონიკის სომხურ თარგმანში დაცული ათანასე ანტიოქიელის „წერილი“ სომხეთის კათოლიკოს ქრისტეფორეს მიმართ, არის მიქაელის ქრონიკის სირიულ ტექსტში დაცული, მარუთა ტაგრიტელის მიერ იოანე ანტიოქიელისადმი მიწერილი წერილის რედაქტირებული ვარიანტი. გასათვალისწინებელია ის ფაქტი, რომ ქრონიკის სომხური თარგმანი შესრულდა კილიკიის სომეხთა კათოლიკოსის, კონსტანტინეს (1221-1267), ბრძანებით, ხოლო მთარგმნელები იყვნენ მისი და კილიკიის სომეხთა სამეფოს მეფე ჰეთუმ I-ის (1226-1270) კარზე ცნობილი პირები.<sup>93</sup> როგორც ჩანს, სომხურ საერო და საეკლესიო წრეებში მიქაელის ქრონიკის სირიულ ვარიანტში არსებული ცნობა ანტიოქიის ეკლესიისადმი სომხეთის საკათოლიკოსო საყდრის ადრინდელი დაქვემდებარების შესახებ, საფრთხედ ჩაითვალა მიქაელ სირიელის გარდაცვალების შემდეგაც, XIII საუკუნეში. როგორც ჩანს, ანტიოქიის იაკობიტ პატრიარქებს ამ პერიოდშიც არ ჰქონდათ აღებული ხელი თავის მისწრაფებაზე - თავისი იურისდიქცია გავრცელებინათ სომხური ეკლესიის მრევლზე. სწორედ ამის გამო უნდა შექმნილიყო იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელის მიმოწერის გამაბათილებელი ცნობა ათანასე ანტიოქიელის „წერილის“ სახით.

**გ. ქართლი** - ეს ის პერიოდია, როდესაც სირიის იაკობიტურ ეკლესიას ვერანაირი პრეტენზია ვერ ექნებოდა ქართლის (უფრო სწორედ, საქართველოს) ქალკედონური ეკლესიის მრევლთან და თუნდაც ქართლის ეკლესიას ეღიარებინა ანტიოქიის საყდრისადმი ადრინდელი დაქვემდებარება, ამ ურთიერთობის აღდგენას საქართველოს ეკლესიასა და სირიის იაკობიტურ ეკლესიას შორის არსებული დოგმატური სხვაობა ეღობებოდა წინ.

**დ. ალბანეთი** - რაც შეეხება წყაროში ალბანეთის (არანი) ხსენებას, მართალია, მიქაელ სირიელის მოღვაწეობის დროისთვის ალბანეთის საკათოლიკოსო ტახტის ხსენება ანაქრონიზმად ვერ ჩაითვლება, რადგანაც ალბანეთის კათოლიკოსის საყდარი ოფიციალურად 1828 (ან 1836) წლამდე არსებობდა, ვიდრე რუსეთის იმპერიამ იგი ოფიციალურად არ გააუქმა, მაგრამ რეალურად ალბანთა საკათალიკოსომ, როგორც დამოუკიდებელმა ეკლესიამ არსებობა არაბთა ბატონობის პერიოდში შეწყვიტა. კავკასიის ალბანეთის მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ისლამი მიიღო და შემოჭრილ მოსახლეობას შეერია. ხოლო ნაწილმა სომხეთში ჰპოვა თავშესაფარი და ადგილობრივ მოსახლეობას შეერია. კავკასიის ალბანეთის ეკლესია განდა სომხური ეკლესიის ეპარქია. ხოლო ალბანეთის კათოლიკოსის საყდარი განძასარის მონასტერში მდებარეობდა.<sup>94</sup>

რაკიდა მიქაელ სირიელის მოღვაწეობისას ალბანეთის (არანის) ეკლესიის არსებობა მხოლოდ ფიქცია იყო, შესაბამისად მიქაელ სირიელის მიერ მასზე პრეტენზიის გამოთქმას, მსგავსად ქართლის ეკლესიისა, არანაირი აზრი არ ჰქონდა.

ყოველივე ზემოთ აღნიშნულის შემდეგ, ვფიქრობ, წერილში სპარსეთის, ქართლისა (გურჯანი) და ალბანეთის (არანი) მოხსენიება გამორიცხავს XII

<sup>93</sup> Sawalaneants, Armenian Epitome, VERS. II, VIII.

<sup>94</sup> Agop Jack Hacikyan et al., The Heritage of Armenian Literature: From the sixth to the eighteenth century (Wayne State University Press, 2002), 169.

საუკუნეში ამ ცნობის შეთხზვას და იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელის მიმოწერა უფრო ადრეული წყაროდან უნდა ჰქონდეს მიქაელ სირიელს აღებული.

ისტორიოგრაფიაში გარკვეულია, რომ მიქაელ სირიელის ქრონიკის ჩვენთვის საინტერესო ნაწილის წყაროს დიონისე თელ-მაჰრელის გარდა წარმოადგენდა იაკობ ედესელი და იოანე ლითარბელი.<sup>95</sup>

იაკობ ედესელი (დაახლ. 640-708) ედესის ეპისკოპოსი იყო. მან დაწერა „ქრონიკა“, რომლის სრული სათაურიც არის „ქრონიკა, რომელიც არის ევსევი კესარიელის [ქრონიკის] გაგრძელება“.<sup>96</sup> მისი ქრონიკა სავარაუდოდ მოიცავდა პერიოდს ხოსრო მეორის (591-628) პერიოდიდან 692 წლამდე.<sup>97</sup> ეს ზუსტად ის პერიოდია, როდესაც ანტიოქიის პატრიარქი იოანე II (631-648) და მარუთა ტაგრიტელი (628/629-649) მოღვაწეობდნენ, მაგრამ, სამწუხაროდ, იაკობ ედესელის ქრონიკის ორიგინალი ტექსტი ძირითადად დაკარგულია, შემორჩენილია მხოლოდ მცირე ნაწილი (23 ფურცელი), რომელშიც ჩვენთვის საინტერესო მიმოწერის კვალი არ შეინიშნება.<sup>98</sup>

იოანე ლითარბელი (გარდ. 737/738 ) სირიელი იაკობიტი მონაზონი და ავტორი იყო. მას უნდა გაეგრძელებინა იაკობის ქრონიკა და მიეყვანა იგი 726 წლამდე. იოანეს თხზულებას ჩვენამდე არ მოუღწევია, მას მხოლოდ ციტირებენ დიონისე თელ-მაჰრელი და მიქაელ სირიელი.<sup>99</sup>

როგორც ვხედავთ, რადგანაც მიქაელ სირიელის მიერ გამოყენებულმა წყაროებმა ჩვენამდე ვერ მოაღწია, ვერ ხერხდება იმის დადგენა, თუ უშუალოდ რომელ ავტორთან იყო შემონახული იოანე ანტიოქიელისა და მარუთა ტაგრიტელის მიმოწერა. ამიტომ თავად ამ წერილებს უნდა მივმართოთ და განვიხილოთ, რამდენად სანდო ცნობებს გვაძლევენ ისინი.

სანამ უშუალოდ ამ წყაროთა ცნობების სისწორის შემოწმებას დავიწყებდეთ, განვიხილოთ მათდამი ქართველი ისტორიკოსების დამოკიდებულება.

საქართველოს ეკლესიის ისტორიის ერთ-ერთმა გამორჩეულმა მკვლევარმა, მიხეილ თარხნიშვილმა, მართალია, წერილში დაცულ ცნობებს სხვა ანტიოქიურ წყაროებთან შედარებით „გაცილებით სარწმუნო“ უწოდა, მაგრამ მის ცნობებს ეჭვის თვალით უყურებდა, რადგანაც, მართალია, ის თვლიდა, რომ კანონიკურად ქართლის ეკლესია ანტიოქიას ექვემდებარებოდა, მაგრამ ეს „ჩვეულებითი სამართალი“ რეალობაში არ სრულდებოდა, „რადგან იბერიის ეკლესიის ასეთი სამართლებრივი მდგომარეობა არც ერთი იმდროინდელი წყაროთი არ დასტურდება.“<sup>100</sup>

წერილში დაცული ცნობების სისწორეს ეჭვის თვალით შეხედა გიორგი მამულაძე: რომელმაციმის გათვალისწინებით, რომ მართალია, გარკვეული პერიოდი ირანის ქრისტიანები ანტიოქიის პატრიარქს ემორჩილებოდნენ, მაგრამ

<sup>95</sup> Wood, "Chronicle of Michael," 582; Hoyland, Seeing Islam, 390, შენ. 12.

<sup>96</sup> Witold Witakowski, "The Chronicle of Jacob of Edessa". in Jacob of Edessa and the Syriac Culture of His Day. edited by R. B. ter Haar Romeny (Leiden-Boston: Brill, 2008), 25, 29.

<sup>97</sup> Hoyland, Seeing Islam, 390.

<sup>98</sup> Ernest Walter Brooks, trans., "The Chronological Canon of James of Edessa." Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft, vol. 53 (1899), 309-330.

<sup>99</sup> Hoyland, Seeing Islam, 390.

<sup>100</sup> Tarchnischvili, "Autocephaly of Georgia." 195-196; თარხნიშვილი, „ავტოკეფალიის წარმოქმნა, 134-135.

სომხეთის, ქართლისა და ალბანეთის ეკლესიები ანტიოქიას საერთოდ არ ემორჩილებოდნენ, მან დაასკვნა, რომ იოანეს ეპისტოლეში, რეალურ-ისტორიული ამბების გვერდით, ანტიოქიის საყდრისადმი ამიერკავკასიის ეკლესიათა იერარქიული დამოკიდებულების დასაბუთების ტენდენცია არის ასახული. წყაროს მონაცემებს ქართლის ეკლესიის ანტიოქიის საყდარზე დაქვემდებარების შესახებ მან „ამჟამა ფალსიფიკაცია“ უწოდა.<sup>101</sup>

აკადემიკოსმა დავით მუსხელიშვილმა უპირობო ნდობა გამოუცხადა იოანე ანტიოქიელის წერილს და მის მონაცემებზე დაყრდნობით ვახტანგ გორგასლის საეკლესიო რეფორმა და ქართლის ეკლესიის გამოსვლა ანტიოქიის ეკლესიის დაქვემდებარებისგან 485 წლით დაათარიდა.<sup>102</sup>

როგორც ვხედავთ, ქართველ ისტორიკოსებს შორის აზრთა სხვადასხვაობაა წერილში დაცული ინფორმაციის სისწორის შესახებ, ზოგიერთი მათგანი წყაროს უპირობო ნდობას უცხადებს, ზოგიერთი კი „შეთხზულს“ უწოდებს. მიხეილ თარხნიშვილმა და გიორგი მამულიამ სამართლიანად აღნიშნეს, რომ სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიებთან დაკავშირებით იოანე ანტიოქიელის ცნობა მცდარია. მართალია, როდესაც ეს მკვლევრები თავიანთ გამოკვლევებს წერდნენ, ნამდვილად მიიჩნეოდა, რომ 424 წლამდე სასანიანთა ირანში არსებული აღმოსავლეთის ეკლესია ანტიოქიის ეკლესიას ექვემდებარებოდა და მხოლოდ 424 წლის მარკაბტას კრებაზე გამოაცხადა დამოუკიდებლობა,<sup>103</sup> მაგრამ უკანასკნელი ათწლეულების კვლევებმა დაადასტურა, რომ აღმოსავლეთის ეკლესია არასდროს ექვემდებარებოდა ანტიოქიის ეკლესიას და იგი დაარსების დროიდან დამოუკიდებელი იყო.<sup>104</sup>

მამასადაძმე, წერილში დასახელებული 4 ეკლესიიდან 3-ის შესახებ დანამდვილებით შეგვიძლია ვთქვათ, რომ ანტიოქიის საყდრისადმი მათი დაქვემდებარება სიცრუეა და მის შეთხზვას გარკვეული მიზანი უნდა ჰქონოდა. ამ მიზნის დასადგენად კი უნდა გაირკვეს ის ვითარება, რაშიც აღნიშნული წერილი დაიწერა.

484-486 წლებში სასანიანთა სპარსეთში არსებულმა აღმოსავლეთის ეკლესიამ ოფიციალურად მიიღო თეოდორე მოფსუესტელის უკიდურესი დიოფიზიტური ქრისტოლოგია.<sup>105</sup> ამის საფუძველზე აღმოსავლეთის ეკლესიაში არსებულმა მიაფიზიტურმა წრეებმა თავი ოფიციალური ეკლესიისგან გამოყოფილად გამოაცხადეს.<sup>106</sup> ისინი მტკიცე საეკლესიო ორგანიზაციის გარეშე

<sup>101</sup> გიორგი მამულია, ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში (თბილისი : მეცნიერება, 1992), 79-80, შენ. 10.

<sup>102</sup> დავით მუსხელიშვილი, საქართველო IV-VIII საუკუნეებში (თბილისი : მემატიანე, 2003), 27, 181.

<sup>103</sup> David Chikovani, "The Synod of Mar Yahbalaha (AD 419/420) and its Significance for the History of the Church of Kartli." Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies 30 (2020):156.

<sup>104</sup> Sebastian Brock, "The Church of the East in the Sasanian Empire up to the sixth century and its absence from the Councils in the Roman Empire," in Syriac dialogue: First Non-Official Consultation on Dialogue within the Syriac tradition (Vienna: Horn, 1994), 75; Wilhelm Baum and Dietmar W. Winkler, The Church of the East: A Concise History (London: Routledge, 2003), 19-21; Chikovani, "Synod of Mar Yahbalaha", 156-157.

<sup>105</sup> Philip Wood, The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq (Oxford: Oxford University press, 2013), 96-97.

<sup>106</sup> ჩიქოვანი, „სიმეონ ბეთ არმამელი“, 250.

ცხოვრობდნენ 559 წლამდე. 559 წელს ედესის მიაფიზიტმა ეპისკოპოსმა იაკობ ბარადაიოსმა აღმოსავლეთის დიდ მიტროპოლიტად აკურთხა აჰუდემეჰი,<sup>107</sup> რითაც სასანიანთა ირანში ჩამოყალიბდა მიაფიზიტური საეკლესიო ორგანიზაცია, რომელიც დამოუკიდებელი იყო. მიაფიზიტების საეკლესიო ცენტრად იქცა ქალაქი ტაგრიტი, სადაც აღმოსავლეთის მიაფიზიტური ეკლესიის დიდმა მიტროპოლიტმა დაიდო ბინა.

ანტიოქიის იაკობიტური საპატრიარქოსა და სასანიანთა სპარსეთში არსებული მიაფიზიტური ეკლესიის დაახლოება 628 წელს დაიწყო, როდესაც იმპერატორმა ჰერაკლემ დაამარცხა სასანიანთა ირანი.

ანტიოქიის პატრიარქს ხელში ჩაუვარდა შესაძლებლობა, ესარგებლა სასანიანთა ირანის უკიდურესი დასუსტებით და კავშირი გაება აღმოსავლეთის მიაფიზიტურ ეკლესიასთან, რომელიც ამ დროს მეთაურის გარეშე იყო დარჩენილი (ამ დროს გარდაცვლილი იყო ტაგრიტის მიტროპოლიტი სამუელი (614-624), ახალი მიტროპოლიტი კი ჯერ არ იყო არჩეული). 628 ან 629 წელს ანტიოქიის პატრიარქმა ათანასემ თავისი წარმომადგენელი იოანე (შემდგომში ანტიოქიის პატრიარქი იოანე II) გააგზავნა სასანიანთა ირანში, სადაც იგი შეხვდა ირანის შაჰ არდამირ III-ს. წმინდა მათეს მონასტერში შედგა კრება, რომელმაც დაადგინა ირანის მიაფიზიტებსა და ანტიოქიის იაკობიტთა საპატრიარქოს შორის საეკლესიო ერთობის აღდგენა. იოანე ანტიოქიაში მარუთასთან და ირანის მიაფიზიტების სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაბრუნდა, ათანასე ანტიოქიელმა აღმოსავლეთის დიდ მიტროპოლიტად აკურთხა მარუთა.<sup>108</sup>

რა თქმა უნდა, ანტიოქიის პატრიარქისგან კურთხევის ერთჯერადი აქტი აღმოსავლეთის დიდ მიტროპოლიტს ანტიოქიის საყდარზე დაქვემდებარებულს ვერ გახდოდა. საჭირო იყო მეტი აქტიურობა ანტიოქიის ეკლესიის მხრიდან.

ათანასე ანტიოქიელის დაწყებული საქმე მისმა მემკვიდრემ, იოანე II-მ გააგრძელა. რომელმაც ტახტზე ასვლისთანავე მარუთა ტაგრიტელს წერილი გაუგზავნა, რომელშიც წამოაყენა იდეა სპარსეთის ეკლესიის ანტიოქიის საყდრისადმი აღრინდელი დაქვემდებარების შესახებ, რაც მიზნად ისახავდა სპარსეთის მიაფიზიტური ეკლესიის (და მასთან ერთად სამხრეთ კავკასიის ეკლესიათა) დაქვემდებარებას. როგორც მარუთას საპასუხო წერილიდან ჩანს, სპარსეთის მიაფიზიტები იძულებული გამხდარან ამ იდეას დასთანხმებოდნენ.

ვფიქრობ, რომ იოანე ანტიოქიელის წერილში წარმოდგენილი აზრი ქართლის ეკლესიის, ისევე, როგორც სპარსეთის, სომხეთისა და ალბანეთის ეკლესიათა, ანტიოქიის საყდრისადმი დაქვემდებარების შესახებ, აშკარა ფალსიფიკაციაა და ისტორიულ სინამდვილესთან საერთო არაფერი აქვს.

<sup>107</sup> Bar Hebraeus, Chronicle, 338.

<sup>108</sup> Bar Hebraeus, Chronicle, 344-346; Ignatius Jacob III, History of the Monastery of Saint Matthew in Mosul. Trans., by Matti Moosa (Gorgias Press. 2008), 41-43.

## დამოწმებული ლიტერატურა - References

1. არსენი საფარელი. *განყოფისათვის ქართველთა და სომეხთა*. ტექსტი კრიტიკულად დაადგინა, გამოკვლევა და კომენტარები დაურთო ზაზა ალექსიძემ. (თბილისი: მეცნიერება, 1980).
2. თარხნიშვილი, მიქელ. „საქართველოს ეკლესიის ავტოკეფალიის წარმოქმნა და განვითარება“, წიგნში: *ქართული ეკლესიის ისტორია: მასალები და გამოკვლევები. მიქელ თარხნიშვილი, წერილები*. რედაქტორი: ლილი ხევსურიაანი, 133-150. თბილისი: კანდელი, 1994.
3. მამულია, გიორგი. *ქართლის ეკლესია V-VI საუკუნეებში*. თბილისი : მეცნიერება, 1992.
4. მგალობლიშვილი, თამილა. “ქრისტიანული ქართლი IV-V სს-ში.“ *საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, ენისა და ლიტერატურის სერია N1* (1988) : 102-117.
5. მუსხელიშვილი, დავით. *საქართველო IV-VIII საუკუნეებში*. თბილისი: მემატიანე, 2003.
6. ჩიქოვანი, დავით. „სიმეონ ბეთ არშამელი, "წერილი" ბარსუმასა და ნესტორიანელთა ერესის შესახებ“. *ახლო აღმოსავლეთი და საქართველო XVI* (2024): 227-256.
7. Allen, Pauline. "Episcopal Succession in Antioch in the Sixth Century." in *Episcopal Elections in Late Antiquity*. By Johan Leemans ; Peter Van Nuffelen; Shawn W. J. Keough; Carla Nicolaye. 23-39. Walter de Gruyter. 2011.
8. Allen, Pauline, and Hayward, Robert. *Severus of Antioch*. London–New York: Routledge, 2004.
9. Abramowski, Rudolf. Dionysius von Tellmahre, jakobitischer Patriarch von 818–845. Zur Geschichte der Kirche unter dem Islam. *Abhandlungen für die Kunde des Morgenlandes* 25:2. (Leipzig: Komm. Brockhaus, 1940.
10. Bar Hebraeus, *The Ecclesiastical Chronicle*, translated by David Wilmshurst. (Piscataway: Gorgias Press, 2015).,
11. Brock, Sebastian. “The Church of the East in the Sasanian Empire up to the sixth century and its absence from the Councils in the Roman Empire, in *Syriac dialogue: First Non-Official Consultation on Dialogue within the Syriac tradition*, 69-86. Vienna: Horn, 1994.
12. Brooks, Ernest Walter. trans. “The Chronological Canon of James of Edessa.” *Zeitschrift der Deutschen Morgenländischen Gesellschaft*, vol. 53, (1899), 261-327.
13. Chabot, Jean-Baptiste. trans. *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166-1199)*. Tome I. Paris: Ernest Leroux, 1899.
14. Chabot, Jean-Baptiste. trans. *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166-1199)*. Tome II. Paris: Ernest Leroux, 1901.
15. Chabot, Jean Baptiste. trans. *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166-1199)*. Tome III. Paris: Ernest Leroux, 1905.
16. Chabot, Jean Baptiste. edit. *Chronique de Michel le Syrien, patriarche jacobite d'Antioche (1166-1199)*. Tome IV (Texte Syriaque) . Paris: Ernest Leroux, 1910.

17. Chikovani, David. "The Synod of Mar Yahbalaha (AD 419/420) and its Significance for the History of the Church of Kartli." *Pro Georgia. Journal of Kartvelological Studies* 30 (2020): 147-166.
18. Gregorios Yuhanna Ibrahim. edit., *The Edessa-Aleppo Syriac Codex of the Chronicle of Michael the Great*. Texts and Translations of the Chronicle of Michael the Great Volume 1. Piscataway: Gorgias Press, 2009.
19. Guidi, Ignace. "La cronica siriana di Michele I," *Giornale della Società Asiatica Italiana* 3 (1889) :167-169.
20. Haase, Felix. "Die armenische Rezension der syrischen Chronik Michaels des Grossen," *Oriens Christianas*. Neue Series V, 13 (1915), 69-82 and 271-283.
21. Hacikyan, Agop Jack; Basmajian, Gabriel; Franchuk, Edward S. and Ouzounian, Nourhan. *The Heritage of Armenian Literature: From the sixth to the eighteenth century*. Wayne State University Press. 2002.
22. Hoyland, Robert G.. *Seeing Islam As Others Saw It :A Survey And Evaluation Of Christian Jewish And Zoroastrian Writings On Early Islam*. Princeton, N.J.: Darwin Press, 1997.
23. Ignatius Aphram I Barsoum. *The Scattered Pearls A History Of Syriac Literature And Sciences*. Translated and Edited by Matti Moosa With a Foreword By Cyril Aphrem Karim, Gorgias Press, 2003.
24. Ignatius Jacob III. *History of the Monastery of Saint Matthew in Mosul*. Translated by Matti Moosa. Gorgias Press. 2008.
25. Labourt, Jérôme. *Le christianisme dans l'empire Perse: sous la dynastie Sassanide (224-632)*. Paris: V. Lecoffre, 1904.
26. Langlois, Victor. *trans. Chronique de Michel le Grand, patriarche des syriens jacobite*. Venice: Typographie de l'Académie de Saint-Lazare, 1868.
27. Mingana, Alphonse. edit. *The Work of Dionysius Barsalibi Against the Armenians*. (Piscataway, NJ,gorgias press. 2009.
28. Moosa, Matti. *trans. The Syriac Chronicle of Michael Rabo (The Great): A Universal History from the Creation*. Teaneck, NJ: Beth Antioch Press, 2014.
29. Sawalaneants, Tigran. edit. *The Armenian Epitome of the Chronicle of Michael the Great*. VERSION I. (Texts and Translations of the Chronicle of Michael the Great, Volume 8). Piscataway: Gorgias Press, 2011.
30. Sawalaneants, Tigran. edit. *The Armenian Epitome of the Chronicle of Michael the Great*. VERSION II. (Texts and Translations of the Chronicle of Michael the Great, Volume 8). Piscataway: Gorgias Press, 2011.
31. Tarchnishvili, Michael. "The Origin and Development of the Ecclesiastical Autocephaly of Georgia." In *Languages and Cultures of Eastern Christianity: Georgian. The Worlds of Eastern Christianity, 300-1500* vol.5. Edited by Stephen H. Rapp, Jr and Paul Crego, 193-215. Routledge, 2012.
32. Weltecke, Dorothea. Die "Beschreibung der Zeiten" von Mōr Michael dem Grossen (1126-1199): eine Studie zu ihrem historischen und historiographiegeschichtlichen Kontext. (*Corpus scriptorum christianorum orientalium* 594; Subsidia 110). Louvain: Peeters, 2003.

33. Weltecke, Dorothea. „The World Chronicle by Patriarch Michael the Great (1126-1199): Some reflections.“ *Journal of Assyrian Academic Studies*, Vol. XI, No. 2 (1997) : 6-30.
34. Witakowski, Witold. "The Chronicle of Jacob of Edessa". in *Jacob of Edessa and the Syriac Culture of His Day*. edited by R. B. ter Haar Romeny, 25–47. Leiden-Boston: Brill. 2008.
35. Wood, Philip. “New histories of a time of conflict: The seventh century in the Chronicle of Michael the Syrian”. *Travaux et mémoires* 26 (2022) : 581-600.
36. Philip Wood, *The Chronicle of Seert: Christian Historical Imagination in Late Antique Iraq*. Oxford: Oxford University press, 2013.
37. ՏԷՐ-ՄԻՆԱՍԵԱՆ, ԵՐՈՒԱՆՊ. *Հայոց եկեղեցու յարաբերութիւնները ասորւոց եկեղեցիների հետ (հայկական եւ ասորական աղբիւրների համաձայն)*, Էջմիածին, 1908.